

„განსხვავებული აზრის“ გამო (პრეზიდენტის იმპიჩმენტის საქმე)

დიდი ინტერესით გავეცანი ჩემი პატივცემული კოლეგების „განსხვავებულ აზრს“ საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საქმეზე. მასში გადმოცემულმა პოზიციებმა და მოსაზრებებმა კიდევ უფრო გამიმყარა რწმენა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გონივრული მიდგომები გამოიყენა და კონსტიტუციური უფლებამოსილება სწორად განახორციელა.

თუმცა, „განსხვავებული აზრის“ გაცნობამ სურვილი აღმიძრა და, იმავდროულად, საჭიროებაც დამანახა იმისა, რომ აკადემიური, საჯარო სამართლებრივი დისკუსიის რეჟიმში წარმომედგინა „განსხვავებული აზრის“ კრიტიკული ანალიზი და ამ გზით მეჩვენებინა მისი მცდარობა. ვფიქრობ, ეს თვალნათლივი გახდა „განსხვავებულ აზრში“ გადმოცემული პოზიციების შეფასებისას კონსტიტუციური სახელმწიფოს პრინციპების შუქზე, იმპიჩმენტის ინსტიტუტის ბუნებისა და მიზანდასახულობის გათვალისწინებით, ისევე, როგორც ლოგიკის მოთხოვნების ჭრილში მათზე დაკვირვების შედეგად. ვფიქრობ, სასარგებლო იქნება იურიდიულ წრეებში დისკუსიის გაგრძელება იმპიჩმენტის ინსტიტუტსა და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე საზოგადოდ.

ქვემოთ ტექსტი უთუოდ დაეხმარება მათ, ვისაც მართლა სწადია იმპიჩმენტის ბუნებასა და სამართლებრივ საკითხებში გარკვევა მიკერძოებული განწყობების გარეშე, რაც ნამდვილად შეუძლის ხელს იმას, რომ კონსტიტუციამ კონსტიტუციონალიზმის დამკვიდრებას შეუწყოს ხელი. გარდა ამისა, ვფიქრობ, საჯარო ინტერესია, რომ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი იყოს კრიტიკული მოსაზრებები არა მარტო საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის, არამედ, „განსხვავებული აზრის“ შესახებაც.



„განსხვავებულ აზრში“ უარყოფილია მოსამართლეთა უმრავლესობის აზრი პრეზიდენტის მხრიდან კონსტიტუციის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ :

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი.

- ფაქტობრივად არ არის გაზიარებული პრეზიდენტის წარმომადგენლების არცერთი არსებითი სამართლებრივი არგუმენტი, მათ შორის, ის, თითქოს პრეზიდენტი კონსტიტუციის 49-ე მუხლის (მის სტატუსს რომ განსაზღვრავს) საფუძველზე მოქმედებდა, რის გამოც მთავრობის თანხმობას არ საჭიროებდა;
- ამასთან, არ არის უარყოფილი არცერთი სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოება, რომლებსაც დაეყრდნო სასამართლოს დასკვნა და რომლებიც ქმნიდა კონსტიტუციის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის შემადგენელ ყველა ობიექტურ და სუბიექტურ კომპონენტს. კერძოდ: რომ პრეზიდენტმა ნამდვილად განახორციელა სამუშაო ვიზიტები უცხო სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციის ლიდერებთან; რომ ამ შეხვედრების დროს მოქმედებდა პრეზიდენტის რანგში და წარმომადგენდა საქართველოსა და ქართველ ხალხს; რომ შეხვედრები შეეხებოდა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ საკითხებს; რომ სამივე სადავო შემთხვევაში პრეზიდენტს არ გააჩნდა მთავრობის საამისო წინასწარი თანხმობა; და რომ მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ამგვარი თანხმობის აუცილებლობა.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, დასკვნა საპირისპიროა და, ჩემი აზრით, ეყრდნობა:

- კონსტიტუციის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის არასწორ ინტერპრეტაციას, საიდანაც გამოტანილია დასკვნა, რომ ეს ნორმა მხოლოდ აღმჭურველი შინაარსისაა და არა შემზღვეველი, და რომ იგი პრეზიდენტს პარალელური საგარეო პოლიტიკის განხორციელებას არ უკრძალავს;
- კონსტიტუციის 48-ე მუხლში იმპიჩმენტის საფუძველების არასწორ განმარტებას - თითქოს „კონსტიტუციის დარღვევა“ და ჩადენილ ქმედებაში „დანაშაულის ნიშნების არსებობა“ იმპიჩმენტის საკმარისი სამართლებრივი საფუძველი არ არის და დამატებით, კონკრეტული ზიანის არსებობაა აუცილებელი; განსახილველ დარღვევასთან მიმართებაში - იმის დადგენა, რომ პრეზიდენტმა ზიანი მიაყენა მთავრობის საგარეო პოლიტიკურ კურსს;
- კონსტიტუციის 48-ე მუხლში იმპიჩმენტის უფლებამოსილებების არასწორ გამიჯვნას საკონსტიტუციო სასამართლოსა და პარლამენტს შორის, იმაზე მითითებით, რომ სასამართლომ მხოლოდ იმპიჩმენტის სამართლებრივი საფუძველი კი არ უნდა დაადგინოს, არამედ ისიც შეაფასოს, იმსახურებს თუ არა შესაბამისი პირი ჩადენილის გამო თანამდებობიდან გადაყენებას;
- ზოგადად იმპიჩმენტის ინსტიტუტის არსისა და დანიშნულების, მისი სამართლებრივ-პოლიტიკური ბუნების ზედაპირულ განხილვას;
- სხვა ცალკეულ მცდარ და მიზანსაცდენილ დებულებებს, წინააღმდეგობებსა და შეუსაბამობებს;

ქვემოთ წარმოდგენილია „განსხვავებული აზრის“ პოზიციები და მათი კრიტიკა.

„განსხვავებული აზრის“ პოზიცია № 1 :

„კონსტიტუციური დებულებით ამა თუ იმ ორგანოს სტატუსის განსაზღვრა, თავისთავად, არ გამოირიცხავს იმავე დებულების გარკვეული უფლებამოსილების წყაროდ მიჩნევას“.

„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში არ არის გაწერილი სახელმწიფოს მეთაურის ცერემონიული საქმიანობის ჩამონათვალი, ეჭვგარეშეა, რომ ზემოხსენებული აქტივობების განხორციელების უფლებამოსილება უშუალოდ მომდინარეობს პრეზიდენტის კონსტიტუციური მანდატიდან“. ასეთ საქმიანობად კი თვალსაჩინოებისათვის ჩამოთვლილია „საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან შეხვედრა“, „საზეიმო ღონისძიებებზე დასწრება“, „მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების შესახებ საზოგადოებრივი დისკუსიის ხელშეწყობა“, „საერთო ეროვნულ ღირებულებებთან მიმართებით საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა“, „საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად საზეიმო ღონისძიებების მოწყობა“ (სადაც მოიწვევს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს)“.

„ საქართველოს პრეზიდენტი არის პირი, ვინც „აყდერებს საერთო ეროვნულ პოზიციას როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ასპარეზზე“; ვინც „პოპულარიზაციას უწევს საერთო ეროვნული მნიშვნელობის მქონე იდეებს და უზრუნველყოფს მათ წინა პლანზე წამოწევას“, ვისაც „აქვს ვალდებულება, იმოქმედოს და ხელი შეუწყოს საერთო ეროვნული მიზნების მიღწევას“ და ვისაც შეუძლია „შეასრულოს „ერის სინდისის“ ფუნქცია“;

ამგვარად, კოლეგები ამტკიცებენ, რომ პრეზიდენტის გარკვეული აქტივობების განხორციელების უფლება, რომლებსაც ისინი ცერემონიული ხასიათის აქტივობას უწოდებენ, პრეზიდენტის სტატუსიდან, მისი კონსტიტუციური მანდატიდან მომდინარეობს და კონსტიტუციაში „გაწერილი არ არის“. თუმცა, გაუგებარი დარჩა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ამის მტკიცება, რადგან კოლეგები, საბოლოო ჯამში, მაინც არ გაჰყოლიან პრეზიდენტის წარმომადგენლების სტრატეგიას, თითქოს პრეზიდენტი კონსტიტუციის არა 52-ე, არამედ 49-ე მუხლის (რომელიც პრეზიდენტის სტატუსს განსაზღვრავს) საფუძველზე მოქმედებდა და ამიტომაც არ ესაჭიროებოდა მთავრობის თანხმობა.

თუ კოლეგებს მიაჩნიათ, რომ პრეზიდენტის რანგში სამუშაო ვიზიტების მოწყობა უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ლიდერებთან უმნიშვნელოვანესი საგარეო-პოლიტიკური საკითხების გადაჭრაზე ზეგავლენის მოხდენისა და კონკრეტული შედეგის მიღწევის მიზნით, საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობის განხორციელება კი არ არის (კონსტიტუციის 52-ე მუხლის გაგებით), არამედ ოდენ ცერემონიული ხასიათის აქტივობაა, ამას ვერ დავეთანხმებით. მათი უთანაბრობა განსაკუთრებით თვალში საცემია იმ აქტივობების გათვალისწინებით, რომლებიც კოლეგებმა ჩამოთვალეს პრეზიდენტის ცერემონიული საქმიანობის ნიმუშად (რომლებსაც მთავრობის თანხმობა არ ესაჭიროება). სწორი არ იქნება საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება დაახლოებით იმგვარი აქტივობის ტოლფასად მივიჩნიოთ, როგორც არის კოლეგების მიერ დასახელებული საქმიანობები, მაგალითად,

„საზეიმო ღონისძიებებზე დასწრება“, „საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან შეხვედრა“, „მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების შესახებ საზოგადოებრივი დისკუსიის ხელშეწყობა“, „საერთო ეროვნული მნიშვნელობის მქონე იდეების პოპულარიზაცია“, „საერთო ეროვნული მიზნების ხელშეწყობა“, „ერის სინდისის ფუნქციის შესრულება“ და სხვა. უფრო მეტიც, დასახელებულ საქმიანობებს საერთოდ არ ესაჭიროება პრეზიდენტის მანდატი. განაწილების მიერ ადამიანს არ შეუძლია საზეიმო ღონისძიებებზე დასწრება, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან შეხვედრა, საერთო ეროვნული მნიშვნელობის მქონე იდეების პოპულარიზაცია, საერთო ეროვნული მიზნების ხელშეწყობა, ან, თუნდაც, „ერის სინდისის ფუნქციის შესრულება?“ მაგრამ, საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებას კი სპეციალური კონსტიტუციური უფლებამოსილება ესაჭიროება. ამიტომ, არ არსებობს საფუძველი, საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობითი ფუნქციის შესრულება კოლეგების მიერ დასახელებულ საქმიანობებს გაუთანაბრდეს იმ მიზნით, რომ ისინი ერთგვაროვან უფლებრივ რეჟიმში იქნეს განხილული. უფრო მეტიც, თვით ე. წ. ცერემონიული ხასიათის აქტივობაც კი, განსაზღვრულ შემთხვევებში, წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის ნაწილს და მთავრობის თანხმობას მოითხოვს (მაგალითად, როგორც დადასტურდა, საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობის თანხმობით მიიღო მონაწილეობა გაერთიანებული სამეფოს დედოფალ ელისაბედ II-ის დაკრძალვისა და მეფე ჩარლზ III-ის მეფედ კურთხევის ცერემონიულ ღონისძიებებში).

ცხადია, კონსტიტუცია პრეზიდენტის „საქმიანობებს“ ან „აქტივობებს“ კი არ ჩამოთვლის, არამედ „უფლებამოსილებებს“, „უფლებამოსილება“ კი აუცილებლად უნდა იყოს კონსტიტუციით გათვალისწინებული. შესაბამისად, მტკიცება, რომ გარკვეულ საქმიანობათა განხორციელების უფლება პრეზიდენტს იმის მიუხედავად აქვს, რომ კონსტიტუციაში მასზე პირდაპირი მითითება არ არის, თავისთავად ვერ გამოდგება რელევანტურ არგუმენტად იმის მტკიცებისათვის, რომ რომელიმე კონსტიტუციური თანამდებობის პირის რაიმე უფლებამოსილება შეიძლება კონსტიტუციით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა მიღმა ვიგულვოთ, ანდა იმისათვის, რომ თანამდებობის პირის კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლები პირობითად მივიჩნიოთ, რომლებიც, მართალია, არსებობს, მაგრამ მნიშვნელოვანი არ არის და იოლად შეიძლება უგულებელყოფილი იქნეს. კონსტიტუციის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში კონსტიტუციამ პრეზიდენტისათვის დააწესა საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისათვის ზუსტი ფარგლები - „მთავრობის თანხმობით“ მისი განხორციელების შესაძლებლობა, რაც იმას გულისხმობს, რომ ამ სფეროში პრეზიდენტის უფლებამოსილება ამ წინაპირობითაა შემოზღუდული.

რაც შეეხება არსებითად იმას, რომ საქართველოს პრეზიდენტი არის პირი, ვინც „აჟღერებს „საერთო ეროვნულ პოზიციას“, „პოპულარიზაციას უწევს საერთო ეროვნული მნიშვნელობის მქონე იდეებს და უზრუნველყოფს მათ წინა პლანზე წამოწევას“, ვინც „ვალდებულია იმოქმედოს და ხელი შეუწყოს საერთო ეროვნული მიზნების მიღწევას“ და ვისაც შეუძლია „შეასრულოს „ერის სინდისის“ ფუნქცია“: ვფიქრობ, ეს ჩამონათვალი კიდევ უფრო შორსაა „უფლებამოსილებების“ სამართლებრივი გაგებისაგან და მათ „საქმიანობაც“ კი მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ. ამ კონტექსტში კოლეგების მიერ ნაგულისხმევი ლოგიკა

კვლავ არარელევანტურია განსახილველ საკითხთან მიმართებაში: რაკი პრეზიდენტი „აქდერებს საერთო ეროვნულ პოზიციას „ ან „პოპულარიზაციას უწევს ეროვნული მნიშვნელობის მქონე იდეებს“, ეს არ ნიშნავს, რომ ეს რაიმე სახით შეიძლება გულისხმობდეს მისი მხრიდან საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში მთავრობის თანხმობის გარეშე ჩარევის დასაშვებობას კონსტიტუციური ჩანაწერის საწინააღმდეგოდ. პრინციპულად, არავითარი საწინააღმდეგო არ მაქვს სახელმწიფო მეთაურის როლის ზემოაღნიშნული გაგების მიმართ, გარდა ერთი ასპექტისა: „ერის სინდისის ფუნქციის შესრულება“ მეტისმეტად მძიმე ტვირთია თუნდაც საყოველთაო არჩევნებით არჩეული პრეზიდენტისათვის; ამგვარი ფუნქცია ვერ იქნება რაიმე სახელმწიფო საჯარო თანამდებობისათვის იმანენტური, მისი თანმდევი თუ მისგან განუყოფელი. დემოკრატიულ და სეკულარულ სახელმწიფოში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ვინმესგან, თუნდაც ეს სახელმწიფოს მეთაური იყოს, ერის სინდისის ფუნქციის შესრულების, მისი სულიერი და მორალური ლიდერობის კონსტიტუციურად ლეგიტიმური მოლოდინი.

და ბოლოს, თუკი კოლეგები მიიჩნევდნენ, რომ დასავლეთის პოლიტიკურ ლიდერებთან 3 სამუშაო შეხვედრის მოწყობა და მასში მონაწილეობა პრეზიდენტის „ცერემონიულ აქტივობას“ წარმოადგენდა და არა საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი ფუნქციის შესრულებას, მაშინ, ლოგიკურად, კონსტიტუციის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დაურღვევლობა ამ პოზიციას უნდა დაფუძნებოდა და არა იმას, რომ ამ ვიზიტების დროს პრეზიდენტს მთავრობის საგარეო პოლიტიკისათვის ზიანი არ ჰქონდა მიყენებული. ამასთან, ლოგიკა და თანმიმდევრულობა მოითხოვს, ასეთ დროს დამატებით ისიც დაესაბუთებინათ, თუ რა პრინციპული მახასიათებლების გამო არ ჩაითვლებოდა პრეზიდენტის მიერ ამ სამი სამუშაო ვიზიტის განხორციელება საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებად კონსტიტუციის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გაგებით; ანდა, ზოგადად, სად არის მიჯნა ე.წ. „ცერემონიულ აქტივობას“ (რომელიც, სხვათა შორის, არ არის კონსტიტუციური ტერმინი) და საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებას შორის და, ყოველთვის გამორიცხავდა თუ არა „ცერემონიული აქტივობა“ მთავრობის თანხმობის საჭიროებას. თუმცა, აქვე დავძენ, რომ ამ მიმართულებით შესაბამისი და ოპტიმალური კრიტერიუმების მიგნება მაინც ნაკლებად მოსალოდნელი იყო და კიდევაც რომ დადგომოდნენ კოლეგები ამ გზას, იქიდან მაინც ხელმოცარულები დაბრუნდებოდნენ.

„განსახვავებული აზრის“ პოზიცია № 2 :

“...საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლი არ კრძალავს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ამავე მუხლის სფეროს გარეთ მოქცეული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას, შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ქმედება კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტთან წინააღმდეგობაში შეიძლება მოვიდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ გამოიყენა მინიჭებული უფლებამოსილება“.

ჯერ ერთი, აქ ფორმალური ლოგიკის წესებია აშკარად დარღვეული. პირველი დებულებიდან მეორე დებულება არ გამომდინარეობს და ისინი განსხვავებულ სიბრტყეებში ძეგს. ის გარემოება, რომ „...საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლი არ კრძალავს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ამავე მუხლის სფეროს გარეთ მოქცეული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას“, არ გამომდინარეობს ის, თუ რა შემთხვევაში დაარღვევს კონსტიტუციის 52-ე ან სხვა მუხლით „მინიჭებული უფლებამოსილება“ ამ მუხლს.

მეორე, გაურკვეველია, რა ღირებულება აქვს საკუთრივ ამ „დასკვნას“. დებულებიდან, რომ „მხოლოდ მინიჭებული უფლებამოსილების კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ გამოყენება დაარღვევს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს“, თავისთავად არ გამომდინარეობს თუნდაც მსგავსი აზრი იმისა, რომ პრეზიდენტს რაიმე ისეთი უფლებამოსილებაც გააჩნია, რაც კონსტიტუციის არც 52-ე და არც რომელიმე სხვა მუხლით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ მას მაინც უთუოდ აქვს/წესით უნდა ჰქონდეს, ან რომ პრეზიდენტის სადავო ქმედებები კონსტიტუციის 52-ე მუხლის ფარგლებში არ არის მოქცეული.

მესამე, მთავარი გაუგებრობა ის არის, თუ რატომ არ ჩაითვლება „მთავრობის თანხმობის გარეშე“ მოქმედება „კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ გამოყენებად“ (რომელიც, კოლეგების აზრით, კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს მართლაც დაარღვევს) მაშინ, როდესაც „მთავრობის თანხმობით მოქმედება“ კონსტიტუციის ამ ნორმით დადგენილი პირობაა, რომლის დაცულობითაც უნდა განახორციელოს პრეზიდენტმა „მინიჭებული“ (საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობის განხორციელების) უფლებამოსილება, რათა კონსტიტუციით დადგენილი ხელისუფლების განაწილების წესი არ დაირღვეს და მთავრობის კომპეტენციაში ნებადაურთველი და არაკომპეტენტური ჩარევა არ განხორციელდეს.

თუ კოლეგებს „კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ გამოყენებად“ არ მიაჩნიათ პრეზიდენტის მხრიდან „მთავრობის თანხმობის გარეშე“ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება და კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ გამოყენების შემთხვევებს მხოლოდ „ანტიკონსტიტუციურ მიზნებს“ უკავშირებენ, გამოდის, რომ ისინი ხსენებული კონსტიტუციური ნორმით გათვალისწინებულ შეზღუდვას - საგარეო ურთიერთობათა სფეროში „მხოლოდ მთავრობის თანხმობით“ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების პირობას - უბრალოდ არ აღიარებენ, ანდა არაფრად მიიჩნევენ. ვფიქრობთ, კონსტიტუციის ინტერპრეტაცია მისი დებულებების აშკარა უგულებელყოფით შესაძლებელი არ არის და ის ვერასოდეს მიგვიყვანს სწორ დასკვნამდე.

„განსხვავებული აზრის“ პოზიცია № 3:

„საგარეო პოლიტიკა კომპლექსური დისციპლინაა, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოს მრავალი, ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერესის უზრუნველყოფას“.

„საგარეო პოლიტიკის განხორციელება და საგარეო/საერთაშორისო ურთიერთობები არ წარმოადგენს იდენტურ მოცემულობებს. თავად საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი საგარეო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებს ცალ-ცალკე დისციპლინად მოიხსენიებს და მათ განიხილავს, როგორც საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ ორ განსხვავებულ საკითხს. ამდენად, იკვეთება ცხადი კონსტიტუციური ნების არსებობა, რომლის თანახმადაც, საერთაშორისო ურთიერთობების გარკვეული ასპექტები საგარეო პოლიტიკის განხორციელების სფეროს მიღმა მოიაზრება“.

„მიგვაჩნია, რომ, კონსტიტუციურსამართლებრივი თვალსაზრისით, საგარეო ურთიერთობები ფარავს ფაქტობრივად ყველა ურთიერთობას, რომლებსაც სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ უცხო ქვეყნის წარმომადგენლებთან“.

„საგარეო პოლიტიკისა“ და „საგარეო ურთიერთობების“ „დისციპლინებად“ მოხსენიებაზე რომ არაფერი ვთქვათ, თავისთავად გაუგებარია, რას ემსახურება ძალისხმევა საგარეო პოლიტიკისა და საგარეო ურთიერთობების გამიჯვნის მიზნით, როდესაც პრეზიდენტს პარლამენტის წევრებმა იმპიჩმენტური ბრალი წაუყენეს სწორედ „საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მთავრობის თანხმობის გარეშე განხორციელებისათვის“. ვფიქრობ, არც ის უნდა იყოს სადავო, რომ მეტწილად და უპირატესად, საგარეო ურთიერთობები საგარეო პოლიტიკის განხორციელების საშუალება და ინსტრუმენტია.

„განსხვავებული აზრის“ პოზიცია № 4:

„საქართველოს პრეზიდენტის ან სხვა სახელმწიფო თანამდებობის პირის მიერ საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკის საწინააღმდეგოდ მოქმედების, ან/და კონსტიტუციის თუ კანონის სხვა დებულების დარღვევის საფრთხე მუდმივად არსებობს. თუმცა, საქართველოს კონსტიტუცია პოტენციური დარღვევის პრევენციისათვის ადგენს დარღვევაზე რეაგირების მექანიზმებს და არა ქცევის თავისუფლების წინასწარ შეზღუდვებს.“

ვფიქრობ, სრულიად შეუფერებელია საჯარო სამართალში, განსაკუთრებით, საჯარო ხელისუფლებით აღჭურვილ თანამდებობის პირებთან მიმართებაში ვისაუბროთ მათი „ქცევის თავისუფლებაზე“, რომელიც თითქოს მათ წინასწარ აქვთ უზრუნველყოფილი კონსტიტუციით, ხოლო ეს უკანასკნელი კი მათი „ქცევის თავისუფლების“ წინასწარ შეზღუდვებს კი არ ადგენს, არამედ - მხოლოდ „დარღვევაზე რეაგირების მექანიზმებს.“

ჯერ ერთი, ქცევის თავისუფლება, როგორც სამართლით დაცული მოცემულობა და პრინციპი, რომ დაშვებულია ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის, მოქმედებს კერძო სამართალში და მხოლოდ ამ სივრცეში შეიძლება რელევანტური და, მით უმეტეს, ეფექტიანი იყოს მხოლოდ

დარღვევებზე რეაგირების სისტემა. საჯარო სამართალში, როცა საქმე შეეხება საჯარო ხელისუფლების განხორციელებას, საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე: დასაშვებია ის, რაც კანონით არის ნებადართული. თანამდებობის პირის „ქცევის თავისუფლებაზე“ საუბარი ძალზე საფრთხილოა, თვითნებობის პირდაპირ წახალისებად აღიქმება და ძალზე საშიში ტენდენციის სათავე შეიძლება გახდეს სახელმწიფოში, რომელსაც სურს „სამართლებრივ სახელმწიფოდ“ განიხილებოდეს და მოწოდებულია სახელისუფლო თვითნებობის ყოველგვარი რისკი აღმოფხვრას. ამგვარად, ამ ტერმინის გამოყენება თანამდებობის პირებთან მიმართებაში უკვე შეუსაბამო და არასწორია. პრეზიდენტის ან სხვა თანამდებობის პირის „ქცევის თავისუფლება“ (თუ მაინცდამაინც ამ ტერმინის გამოყენება სურთ) ყოველთვის მოქცეულია ოფიციალური უფლებამოსილებების ფარგლებში, არ უნდა არღვევდეს ამ ფარგლებს და არ უნდა განიცდოს მათ მიღმა, სხვისი კონსტიტუციური უფლებამოსილების ველზე. პრეზიდენტის იმპიჩმენტის წინამდებარე საქმე შეეხებოდა მისი მხრიდან კონსტიტუციური უფლებამოსილების მიღმა მოქმედებას, მისი ფარგლების გაღმა განხორციელებულ „ქცევის თავისუფლებას“, სხვა სიტყვებით, ექსცესიურ თავისუფლებას, რომელიც მთავრობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებში შეჭრით გამოიხატა და ამიტომაც საჭიროებდა კონსტიტუციითვე გათვალისწინებულ რეაგირებას. ამგვარად, დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციები არა მარტო ადგენენ პრეზიდენტისა და სხვა სახელმწიფო თანამდებობის პირების „ქცევის თავისუფლების“ წინასწარ შეზღუდვებს, არამედ სწორედ კანონიერი უფლებამოსილების ფარგლებში “შეზღუდული ხელისუფლება“ (limited government), არის ყოველი კონსტიტუციის ფუძე და ხერხემალი.

მეორე, იმპიჩმენტიც ხომ სწორედ ჩადენილ დარღვევაზე რეაგირების მექანიზმია. ასე რომ, ჩვენი კონსტიტუცია მაღალი თანამდებობის პირების „ქცევის თავისუფლების“ შეზღუდვებსაც ადგენს და მათზე რეაგირების მექანიზმსაც, მათ შორის, იმპიჩმენტის სახით.

„განსხვავებული აზრის“ პოზიცია № 5:

„საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა დაედგინა არა მხოლოდ ფორმალურად თანხმობის არარსებობა-არსებობის ფაქტი, არამედ, თავად ვიზიტის შინაარსიდან გამომდინარე უნდა შეეფასებინა, სადავოდ მიჩნეული ქმედებებით საქართველოს პრეზიდენტი ხომ არ გასცდა სახელმწიფოს მეთაურის ცერემონიულ როლს ან/და ხომ არ დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის უფლებამოსილება“.

ჯერ ერთი, თუ „განსხვავებული აზრის“ ავტორებს მიაჩნდათ, რომ პრეზიდენტი „სახელმწიფოს მეთაურის ცერემონიულ როლს არ გასცდა“, ეს თავადაც ჯეროვნად უნდა დაესაბუთებინათ.

მეორე, საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნაში გარკვევითაა დასაბუთებული, რომ პრეზიდენტის სამუშაო ვიზიტები უცხო სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების

ლიდერებთან საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საგარეო პოლიტიკურ საკითხზე წარმოდგენდა მისი მხრიდან საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებას, რომლის პირობები კონსტიტუციის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით არის რეგლამენტირებული, და რომ სწორედ ამიტომ იყო კონსტიტუციის ეს ნორმა გამოყენებადი სადავო შემთხვევების მიმართ.

რაც შეეხება იმას, რომ დასკვნაში კონსტიტუციის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა ქვეპუნქტის“ დარღვევის დამადასტურებლად კონსტიტუციის 54-ე მუხლის დარღვევა უნდა ყოფილიყო დასაბუთებული, ვერ დავეთანხმები. კოლეგების ზემოაღნიშნული დებულების ლოგიკას თუ გავეყვებით, მთავრობის თანხმობის არარსებობა, თავისთავად, ვერ გამოიწვევს კონსტიტუციის 52-ე მუხლის დარღვევას, და რომ ეს მუხლი მხოლოდ მაშინ დაირღვევა, როდესაც დაირღვევა კონსტიტუციის 54-ე მუხლი. სინამდვილეში სხვაგვარადაა. საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნაში კარგად არის ახსნილი, რომ სწორედ 52-ე მუხლის მოთხოვნის შეუსრულებლობა ქმნის 54-ე მუხლის დარღვევისა და მთავრობის ექსკლუზიურ კომპეტენციებში შეჭრის საფრთხეს და ეს სრულიად ნათელია: როდესაც პრეზიდენტი მთავრობის თანხმობის გარეშე ახორციელებს საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობას, სწორედ ეს ქმნის წინაპირობას კონსტიტუციის 54-ე მუხლის დარღვევისა, რადგან ეს მუხლი საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე ექსკლუზიურ უფლებამოსილებას მთავრობას აკუთვნებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ „მთავრობის თანხმობის გარეშე“ მოქმედება, თავისთავად, ცალკე აღებული, არაკონსტიტუციური არ არის და კონსტიტუციის დამოუკიდებელ დარღვევას ვერ ჩამოაყალიბებს. გაუგებარია, რას გვთავაზობენ კოლეგები, თუ სასამართლომ დაადგინა, რომ პრეზიდენტმა მთავრობის თანხმობის გარეშე განახორციელა საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობა, სასამართლოს როგორ უნდა დაესაბუთებინა, რომ კონსტიტუციის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი მაინც არ დარღვეულა? უნდა ეთქვას, რომ მართალია, პრეზიდენტმა მთავრობის თანხმობის გარეშე განახორციელა საგარეო ურთიერთობებში წარმომადგენლობა, მაგრამ კონსტიტუციის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი მაინც არ დარღვეულა, რადგან ეს ნორმა ამგვარი თანხმობის არსებობას არ მოითხოვს? ან მოითხოვს, მაგრამ პრინციპულად არ მოითხოვს? ან მოითხოვს, მაგრამ არა უშავს, თუ ეს მოთხოვნა არ სრულდება?

გაუმართლებელი თვითნებობა იქნება, პრეზიდენტის უფლებამოსილების ეს კონკრეტული შეზღუდვა, მისი ექსპლიციტურად გამოხატული ხასიათის მიუხედავად, არარსებულად ან ნაკლებად მნიშვნელოვნად მივიჩნიოთ, რათა ქარის წისკვილებს შევებრძოლოთ სახელმწიფოს მეთაურის სტატუსის „შინაარსისგან დაცლილ, ფიქციურ ინსტიტუტად გადაქცევისაგან“ დასაცავად, რის პრევენციასაც თითქოს „განსხვავებული აზრი“ ცდილობს. საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის სტატუსი მთლიანად შეესაბამება საპარლამენტო მმართველობაში სახელმწიფოს მეთაურის როლსა და ფუნქციებს და სრულიად არ არის შინაარსისგან გამოფიტული და ფიქციური ინსტიტუტი იმ უფლებამოსილებების გათვალისწინებით, რაც მას კონსტიტუციის 52-ე და სხვა მუხლებით აქვს გადაცემული.

„განსხვავებული აზრის“ პოზიცია № 6:

კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზანია, გარკვეულ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პრეზიდენტისათვის იმ უფლებამოსილების მინიჭების შესაძლებლობის განსაზღვრა, რომელიც მას თავისთავად არ გააჩნია. „კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზანი საქართველოს მთავრობის უფლებამოსილების საქართველოს პრეზიდენტზე დელეგირების შესაძლებლობის დადგენით ამოიწურება“. „საპირისპიროდ, მითითებული ნორმის მიზანი არ არის რაიმე სახის აკრძალვის დაწესება საქართველოს პრეზიდენტის მიერ პარალელური საგარეო პოლიტიკის წარმოებასთან დაკავშირებით, რადგან კონსტიტუცია პირდაპირ არ ზღუდავს ამგვარ ქმედებას“. „როდესაც საქართველოს კონსტიტუციას სურს კონკრეტული შეზღუდვის დაწესება, პირდაპირ უთითებს ამგვარ შეზღუდვაზე, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს საქართველოს პრეზიდენტის მიერ პოლიტიკური პარტიის წევრობას“.

„თუ ყოველ ჯერზე საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე პოზიციის დასაფიქსირებლად საქართველოს პრეზიდენტს დასჭირდება საქართველოს მთავრობის თანხმობა, მაშინ ხსენებული პოზიცია მუდმივად აღიქმება, როგორც საქართველოს მთავრობის მოსაზრება.“

როგორც ჩანს, კოლეგებს მიაჩნიათ, რომ ხსენებული კონსტიტუციური ნორმა საქართველოს პრეზიდენტს მხოლოდ აღჭურავს გარკვეული უფლებამოსილებით და კვლავ არაფრად მიიჩნევენ სიტყვების - „მთავრობის თანხმობით“ - შემზღუდველ შინაარსს. არადა, კვლავ მარტივად, უფრო სწორად, უმარტივესადაა საქმე. შინაარსი სიტყვებისა - „ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში“ - აღმჭურველია, მაგრამ შინაარსი სიტყვებისა - „მთავრობის თანხმობით“ - ამ უფლებამოსილების გარკვეული პირობით შემზღუდველი. საბოლოო ჯამში, კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი პრეზიდენტს აღჭურავს „საგარეო ურთიერთობათა სფეროში წარმომადგენლობის განხორციელების უფლებამოსილებით, მაგრამ შესაბამისი პირობით - „მთავრობის თანხმობით“. კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ამ დებულების ნებისმიერი სხვაგვარი ინტერპრეტაცია ამკარად თვითნებურია და კონსტიტუციის განზრახულობის საპირისპირო. მეტად საგულისხმოა, რომ აკადემიკოსი **ჯ. ხეცურიანი** თავის წიგნში, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას შეეხება, სწორედ „მთავრობასთან შეთანხმების“ გარეშე (საუბარია კონსტიტუციის 2017 წლამდე მოქმედ რედაქციაზე) მოქმედებას, ანუ, პრეზიდენტის მხრიდან ამკრძალავის წესის დარღვევას მოიხსენიებს მისი იმპიჩმენტის საფუძვლად. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საფუძველი მოქმედებითაც შეიძლება გამოიხატოს და უმოქმედობითაც. მოქმედებით კონსტიტუციის დარღვევად განმარტავს შემთხვევას, როდესაც „თანამდებობის პირი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს კონსტიტუციის შესაბამისი ნორმებით დადგენილი წესების დარღვევით და არ იცავს ამკრძალავი ნორმების დანაწესს და იქცევა მის საპირისპიროდ, მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობასთან შეუთანხმებლად აწარმოა მოლაპარაკებები სხვა სახელმწიფოსთან ან საერთაშორისო

ორგანიზაციებთან, დადო საერთაშორისო ხელშეკრულება“ (ჯ. ხეცურიანი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, 2016; გვ. 227).

ასევე, გაუგებარია, რა არის არაკონსტიტუციური ან მიუღებელი იმაში, რომ, როდესაც პრეზიდენტი „საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე“ გამოხატავს თავის პოზიციას, იგი „ყოველ ჯერზე“ აღიქმებოდეს, როგორც მთავრობასთან შეთანხმებული პოზიცია.

თუმცა, ყველაზე უფრო საეჭვოა ლეგიტიმურობა დებულებისა, რომ კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზანი არ არის რაიმე სახის აკრძალვა დაუწესოს პრეზიდენტს მის მიერ პარალელური საგარეო პოლიტიკის წარმოებასთან დაკავშირებით, და რომ საერთოდ, „კონსტიტუცია პირდაპირ არ ზღუდავს ამგვარ ქმედებას,“ რადგან „როდესაც საქართველოს კონსტიტუციას სურს კონკრეტული შეზღუდვის დაწესება, პირდაპირ უთითებს ამგვარ შეზღუდვაზე, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს საქართველოს პრეზიდენტის მიერ პოლიტიკური პარტიის წევრობას“.

ამგვარი განმარტება პირდაპირ არღვევს არა მარტო კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს, არამედ, იმავდროულად, 54-ე მუხლსაც, რამდენადაც უშვებს, რომ საგარეო პოლიტიკა პრეზიდენტმა მთავრობის პარალელურად განახორციელოს, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით მთავრობაა მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი. საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნაში ზედმიწევნით არის ახსნილი დაუშვებლობა იმისა, რომ პრეზიდენტი მთავრობისაგან დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ახორციელებდეს. განსხვავებული აზრის გაცნობისას, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მისი ავტორებიც იზიარებენ ამ აზრს, რამდენადაც, „განსხვავებულ აზრში“ ციტირებულია დასკვნის არაერთი დებულება, რომლებითაც სწორედ ის საშიშროებაა ახსნილი, რაც შეიძლება მთავრობასთან შეუთანხმებელ ქმედებებს მოჰყვეს. თუმცა, მეორე მხრივ, ფაქტია, რომ „განსხვავებული აზრის“ ავტორები იმავდროულად იმასაც მიუთითებენ, რომ „კონსტიტუცია პირდაპირ არ ზღუდავს ამგვარ ქმედებას“ (პრეზიდენტის მიერ პარალელური საგარეო პოლიტიკის განხორციელებას), თანაც ერთობ უჩვეულო „არგუმენტით“, რომ ეს კონსტიტუციით პირდაპირ აკრძალული არ არის.

თუ კოლეგების ლოგიკას გავყვებით, მაშინ გამოდის, რომ ჩვენი კონსტიტუციით ხელისუფლების განაწილება მხოლოდ პირობითია, რადგან კონსტიტუციური ორგანოების უფლებამოსილებებთან დაკავშირებით ამკრძალავი დებულებების გამოყენება დიდი იშვიათობაა. მაგალითად, კონსტიტუციის 36-ე მუხლში მითითებულია, რომ საქართველოს პარლამენტი „...ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას..“, მაგრამ მითითებული არ არის, რომ სხვა კონსტიტუციურ ორგანოებს კანონების მიღება ეკრძალებათ. კოლეგების ლოგიკით, როგორც ჩანს, ზემოაღნიშნული დებულება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „საქართველოს პარლამენტი ..ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას და ყველა სხვა ორგანოს ეკრძალება ამ ფუნქციის განხორციელება“. ანდა, კონსტიტუციის 71-ე მუხლი, სადაც საუბარია საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ორგანული კანონის ძალის მქონე დეკრეტების მიღებაზე, უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „პრეზიდენტს ეკრძალება საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს ორგანული კანონის ძალის მქონე დეკრეტები გამოსცეს პრემიერ-

მინისტრის წარდგინების გარეშე“. ამგვარი ზედაპირული და ხელოვნური მოსაზრებები ვერასგზით დაძლევს მყარ და რაციონალურ სამართლებრივ არგუმენტებს.

საბოლოო ჯამში, „განსხვავებული აზრის“ მიხედვით, გაუგებარი დარჩა შემდეგი: თუკი კონსტიტუციის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი არ კრძალავს პრეზიდენტის მხრიდან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას და ეს ნორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაირღვეს, როდესაც პრეზიდენტი ანტიკონსტიტუციურ მიზნებს ისახავს, მაშინ რა არის ის შესატყვისი შემთხვევები, როდესაც პრეზიდენტს მთავრობის თანხმობა მართლაც ესაჭიროება? ეს ის შემთხვევებია, როდესაც მას წინდაწინვე და დაუფარავად განზრახული აქვს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება კონსტიტუციის საწინააღმდეგო მიზნებით გამოიყენოს? თუ ჰო, მაშინ, ასეთ დროს, სხვა რამ ხდება გაუგებარი - ასეთ შემთხვევაში რატომ უნდა მიმართოს პრეზიდენტმა მთავრობას ლეგიტიმური მოლოდინით, რომ მთავრობისგან თანხმობას მიიღებს? ან რატომ უნდა მისცეს მას მთავრობამ თანხმობა?

ვინაიდან ძნელად დასაჯერებელია, რომ ამგვარი უცნაურობა კოლეგებს ეგულისხმათ, რჩება მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც, მათი აზრით, ხსენებული ნორმა დაირღვევა: რაკი მთავრობისგან წინასწარი თანხმობის მიღება მათ პრეზიდენტის შემზღვევლად კი არ მიაჩნიათ, არამედ მხოლოდ აღმჭურველად და უფლებამოსილების მასზე დელეგირების გამომხატველად და, ამასთანავე, მხოლოდ არაკონსტიტუციურ მიზნებს უკავშირებენ ამ მუხლის დარღვევის შესაძლებლობას, ვიღებთ შემდეგ მოცემულობას: პრეზიდენტს საერთოდ არ ესაჭიროება მთავრობის თანხმობა და თავისუფლად შეუძლია განახორციელოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება საგარეო ურთიერთობათა სფეროში (სავარაუდოდ, თვით პარალელური საგარეო პოლიტიკაც კი,) და კონსტიტუციის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი მხოლოდ მაშინ დაირღვევა, როდესაც *post factum*, აღმოჩნდება, რომ პრეზიდენტი კონსტიტუციის საწინააღმდეგო მიზნით მოქმედებდა. სავსებით ნათელია, რომ ამგვარი ინტერპრეტაცია არ არის გონივრული და ლოგიკურად გამართლებული. ეს არის გამრუდებული ხედვა არა მარტო კონსტიტუციის მხოლოდ ერთი ნორმის (52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის) შინაარსისა, არამედ 54-ე მუხლისა და, საზოგადოდ, ხელისუფლების განაწილების მთელი კონსტიტუციური სისტემისა, რომლის განმარტება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საღ აზრს, კონსტიტუციის ტექსტს და მის ნამდვილ განზრახულობებს.

„განსხვავებული აზრის“ პოზიცია № 7:

„არც წარდგინების ავტორები და არც ჩვენი კოლეგები არ მიუთითებენ, რომ სადავო ვიზიტებით ან/და მის ფარგლებში გამოთქმული მოსაზრებებით საქართველოს პრეზიდენტმა რაიმე ფორმით დააზიანა, ხელი შეუშალა საქართველოს მთავრობის მიერ საგარეო პოლიტიკის განხორციელებას“.

„არ იკვეთება, რომ სადავო ვიზიტების განხორციელებით საქართველოს პრეზიდენტი გასცდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებს; საქმეზე არ არის წარმოდგენილი რაიმე

მტკიცებულება იმის შესახებ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა გაახმოვანა გზავნილები, რომლებიც საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკის საწინააღმდეგო ან/და ისაუბრა საკითხებზე, რომლებიც რამენაირად გაცდა მის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის, ცერემონიულ როლს, ან/და განხორციელა ისეთი ქმედება, რომელმაც საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკა დააზიანა”..

„იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაეუშვებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტი, ფორმალურად, საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, არ იკვეთება, რომ მისმა ქმედებებმა დააზიანა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა ან/და, კონსტიტუციის უხეში დარღვევით, საფრთხე შეუქმნა ხელისუფლების განხორციელების კონსტიტუციურ წესრიგს“.

ამასთან დაკავშირებით, უწინარესად, იმას აღვნიშნავ, რომ 52-ე მუხლის დარღვეულად აღიარებისათვის საკმარისია იმ გარემოების დამტკიცება, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განხორციელდა „მთავრობის თანხმობის გარეშე“ ; საჭირო არ არის რაიმე სხვა დამატებითი და კონკრეტული ზიანის დადგომა, გარდა იმისა, რასაც მოცემული კონსტიტუციური ნორმის დარღვევა თავისთავად გულისხმობს. ზიანი, რომელიც კონსტიტუციის ნებისმიერ დარღვევას იმანენტურად ახლავს, იდეაში, როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური ხასიათისაა. ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციის ნორმებს უგულვებელყოფს და თავისი უფლებამოსილების მიღმა მოქმედებს, მეტია, ვიდრე მხოლოდ „საფრთხე“. იგი თავისთავად ნიშნავს კონსტიტუციური წესრიგის დარღვევას, არასწორი, კონსტიტუციის საწინააღმდეგო პრაქტიკის დანერგვას, თვითნებობის დაშვებასა და წახალისებას, სამართლის უზენაესობის პრინციპების გათელვას, კონსტიტუციისა და საზოგადოების წინაშე უპასუხისმგებლობას. ეს არის სწორედ ის ზიანი, რაც კონსტიტუციის დარღვევის თანაარსია. კონსტიტუციონალიზმის გამომხატველი ის კი არ არის, რომ ქვეყანას კონსტიტუცია აქვს, არამედ ის, რომ ეს ქვეყანა კონსტიტუციის მიხედვით ცხოვრობს და მისი ყოველი წესი და პრინციპი რეალურად ხორციელდება ცხოვრებაში. ამიტომ, კონსტიტუციის ყოველი დარღვევა კონსტიტუციონალიზმის პრინციპებიდან უკანდახევას ნიშნავს და ამგვარი შემთხვევებისადმი შემგუებლობა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა, როგორც „კონსტიტუციის მცველებმა“, არ უნდა დაუშვან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პრინციპულად არ ვეთანხმები აზრს, რომ „კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ მოქმედება“ შეიძლება საფრთხეს არ უქმნიდეს „ხელისუფლების განხორციელების კონსტიტუციურ წესრიგს“.

რაც შეეხება სხვა დამატებით ზიანს, მაგალითად, „მთავრობის საგარეო პოლიტიკის დაზიანებას,“ მასთან მიმართებაში „მთავრობის თანხმობის გარეშე მოქმედება“ **მეტი თუ არა, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად მაინც შეიძლება წარმოვიდგინოთ.** დასკვნაში მივუთითეთ კიდევაც, რომ სწორედ „მთავრობის თანხმობის გარეშე მოქმედება“ არის პოტენციურად სერიოზული საფრთხის შემცველი.

გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სასამართლოს არ გააჩნდა ზუსტი ინფორმაცია იმის თაობაზე, რა იყო პრეზიდენტის გზავნილები დასავლელ ლიდერებთან

სამუშაო შეხვედრების დროს, რა არის მისი პოლიტიკური აქტივობის პოლიტიკური შედეგები, ხელი შეუწყო თუ შეუშალა მან საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს; თუმცა, კიდევაც რომ მოეწოდებინა პრეზიდენტს (სასამართლოში გამოცხადების შემთხვევაში) ეს ინფორმაცია, იგი მაინც ვერ იქნებოდა სასამართლოს მიერ ადეკვატურად დამუშავებადი მასალა მისი შეფასების მიზნებისათვის, ვინაიდან საქმე შეეხება წმინდა წყლის პოლიტიკურ საკითხებს, რომელთა შეფასება პოლიტიკურ კრიტერიუმებს საჭიროებს. მართლაც, მხოლოდ პოლიტიკური კრიტერიუმებით შეიძლება შეფასდეს, ისაუბრა თუ არა პრეზიდენტმა სწორედ იმ გზავნილებით, რომელიც მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესაბამისია. შესაბამისობაში, დაარწმუნა თუ არა ამ საუბრებმა გერმანიის, საფრანგეთისა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტები საქართველოს სტატუსის საკითხის დადებითად გადაწყვეტის მართებულობაში ან განაწყო თუ არა ისინი საკითხის პოზიტიური გადაწყვეტისადმი, მიიღო თუ არა რაიმე დაპირება და სხვა. მეტიც, ეს შედეგები, შესაძლოა, ვერც ვერასდროს გახდეს ცნობილი, თუ თავად პრეზიდენტი ან მისი უცხოელი კოლეგები არ მოისურვებენ ამ საუბრების შინაარსის მთლიანად და დეტალურად გასაჯაროვებას, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, თუ საზოგადოდ რამდენად შეიძლება განსხვავდებოდეს დახურულ კარს მიღმა და, მით უფრო, *tête-à-tête* შეხვედრების დროს თქმული ფართოდ გასაჯაროვებული ინფორმაციისაგან. პრაქტიკულად, სასამართლოსთვის უცნობი დარჩა ამ საუბრების ნამდვილი შინაარსი და მისი დეტალები. თუმცა ეს გადამწყვეტი მაინც არ არის. გადამწყვეტია ამ რეალური თუ პოტენციური ზიანის პოლიტიკური ხასიათი, რაც არ ექვემდებარება სამართლებრივი კრიტერიუმებით შეფასებას, ხოლო პოლიტიკურ კრიტერიუმებს კი სასამართლო ვერ მოიმარჯვებდა. სწორედ ამიტომ მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის დასკვნაში, რომ პოლიტიკური ზიანის არსებობა თუ არარსებობა, მისი ხასიათი და სიმძიმე პარლამენტის წევრების მხრიდან შეიძლებოდა და უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული თანამდებობიდან გადაყენების საკითხის გადაწყვეტისას. ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლოს არ ევალებოდა კონსტიტუციის დარღვევით გამოწვეული სხვა დამატებითი შედეგების, *a fortiori*, პოლიტიკური ხასიათის ზიანის დადგენა და შეფასება, და ვერც გააკეთებდა ამას თავისი როლისა და იურისდიქციის გათვალისწინებით.

რაც შეეხება განსხვავებული აზრის ავტორების დასკვნას, თითქოს „არ იკვეთება, რომ სადავო ვიზიტების განხორციელებით საქართველოს პრეზიდენტი გასცდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებს“: აღსანიშნავია, რომ საკუთრივ მთავრობის თანხმობის გარეშე მოქმედების ფაქტი განსხვავებული აზრის მომხრეთა მიერ უარყოფილი არ არის (და ვერც იქნებოდა). ამგვარ პირობებში, გამოდის, რომ პრეზიდენტის მიერ „მთავრობის თანხმობის გარეშე მოქმედება“ (მაშინ, როდესაც ეს ცალსახად, *expressis verbis* ეკრძალება უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივი აქტით - კონსტიტუციით,) არ ჩაითვლება „უფლებამოსილების ფარგლების გადამეტებად“. აღნიშნულიდანაც ის დასკვნა გამომდინარეობს, რაც ზემოთაც მივუთითეთ: რომ „განსხვავებული აზრის“ ავტორებისათვის ეს აკრძალვა საერთოდ არ არსებობს, ან არსებობს, მაგრამ მისი დაცვა საჭირო არ არის.

„განსხვავებული აზრის“ პოზიცია № 8:

„ჩვენი კოლეგების მიერ საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებაზე თანხმობის მიცემა, ფაქტობრივად, იმ მოტივით ხდება, რომ მან შეიძლება მომავალში საქართველოს მთავრობის მიერ საგარეო პოლიტიკის განხორციელებას შეუშალოს ხელი. შედეგად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ფორმალურ-სამართლებრივ საფუძველს უქმნის პოლიტიკურ ხედვებს, რომლის თანახმადაც, საქართველოს პრეზიდენტი, კონსტიტუციის დარღვევის მოტივით, შესაძლოა, გადაყენებულ იქნეს დაკავებული თანამდებობიდან, ვინაიდან „არ ენდობიან“ მას“.

ზემოაღნიშნულ ორ დებულებაზე ცალ-ცალკე ვიტყვი:

პირველი დებულება ჩვენს (6 მოსამართლის, ვინც კონსტიტუციის დარღვევის დადგენას დაუჭირა მხარი) მოტივაციას შეეხება, რის გამოც, თურმე, სინამდვილეში მივიღეთ ის გადაწყვეტილება, რაც მივიღეთ. „განსხვავებული აზრის“ ავტორებს ისე გამოუვიდათ, თითქოს სასამართლოს დასკვნა პრეზიდენტის მხრიდან კონსტიტუციის დარღვევის თაობაზე მის მიერ მთავრობის თანხმობის გარეშე განხორციელებულ სამ სადავო ვიზიტს კი არ ეყრდნობა, არამედ მხოლოდ სამომავლო საფრთხეებს; რომ ჩვენ პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების თანხმობა პარლამენტს მივეცი იმის გამო, რაც მან მომავალში შეიძლება ჩაიდინოს და არა იმის გამო, რაც უკვე ჩაიდინა. ვფიქრობ, ეს მხოლოდ ფაქტების დამახინჯება კი არ არის, არამედ ფრიად არაკორექტული და არაკოლეგიალური განცხადებაა. პრაქტიკულად, ჩვენი დადანაშაულებაა არაკეთილსინდისიერებაში. არა მგონია, აკადემიური ნაწერი ამგვარ სპეკულაციურ, არასათანადო ჩანაწერებს უნდა შეიცავდეს, რასაც არაფერი აქვს საერთო არც სინამდვილესთან და არც იურისპრუდენციასთან.

რაც შეეხება იმას, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ფორმალურ-სამართლებრივი საფუძველი შეუქმნა პოლიტიკურ ხედვებს, რომლის თანახმადაც, საქართველოს პრეზიდენტი, კონსტიტუციის დარღვევის მოტივით და სინამდვილეში მისადმი უნდობლობის გამო შეიძლება გადაყენებულ იქნეს დაკავებული თანამდებობიდან, ამაზე შემდეგს განვმარტავ:

ჯერ ერთი, საკითხის ამგვარად წარმოჩენა სამართლიანი არ არის. სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ სამართლებრივი საფუძვლების დადგენით და ამ მიმართებით ძალზე მკვეთრი ზღვარი გაავლო იმპიჩმენტის სამართლებრივ და პოლიტიკურ ეტაპებს შორის. დასკვნაში გარკვევით ითქვა, რომ სასამართლოს უფლებამოსილება ამოიწურებოდა იმპიჩმენტის სამართლებრივი საფუძვლების დადგენით ან უარყოფით, იმაზე დასკვნის გაცემით, დაარღვია თუ არა პრეზიდენტმა კონსტიტუციის ესა თუ ის ნორმა. ამასთან, ხაზგასმით ითქვა, რომ

სასამართლოს ეს იმაზე ორიენტაციის გარეშე უნდა გაეკეთებინა, იმსახურებდა თუ არა პრეზიდენტი ჩადენილის გამო თანამდებობიდან გადაყენებას. ეს როლი სასამართლომ შეასრულა ზედმიწევნით და არ უმსჯელია იმაზე, რამდენად იწვევდა ამ ქმედების ჩადენა პრეზიდენტისადმი ნდობის დაკარგვას და რამდენად იმსახურებდა თუ არ იმსახურებდა გადაყენებას.

მეორე, რაც შეეხება „კონსტიტუციის დარღვევის მოტივით და სინამდვილეში უნდობლობის გამო“ თანამდებობიდან გადაყენების იდეის ხელშეწყობას, აქ ორი განსხვავებული ასპექტია და ცალ-ცალკე განვიხილავ:

„კონსტიტუციის დარღვევა“ ყოველთვის „საფუძველია“ იმპიჩმენტისა და არა „მოტივი“. ამ ხედვის საწინააღმდეგო არც არაფერი წერია და არც ნაგულისხმევია სასამართლოს დასკვნაში. მეორე, იმპიჩმენტის დაკავშირება ნდობა-უნდობლობის საკითხებთან (ლამის ბრალდებად რომ არის წამოყენებული), არსებითად, სულაც არ არის არაადეკვატური, როგორც ეს ჩვენს კოლეგებს წარმოუდგენიათ. ისე გამოუვიდათ, თითქოს თანამდებობის პირის მიმართ ნდობისა თუ უნდობლობის საკითხი საერთოდ არ იყოს რელევანტური და შეუთავსებელი იყოს იმპიჩმენტის ბუნებასთან. არადა, პარლამენტში იმპიჩმენტის პროცედურის ორივე ეტაპზე (როგორც იმპიჩმენტის პროცედურის აღძვრის, ისე სასამართლოს დასკვნის მიღების შემდგომ ეტაპზე) ნდობის საკითხი არათუ რელევანტურია, არამედ სრულიად შესატყვისი, ლეგიტიმური და გადამწყვეტი კრიტერიუმია, რომლითაც პარლამენტმა უნდა იხელმძღვანელოს იმპიჩმენტის უფლებამოსილების განხორციელებისას ორივე დასახელებულ ეტაპზე. დიახ, თუ პარლამენტი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი (ან სხვა თანამდებობის პირი) მისთვის მიკუთვნებულ საჯარო უფლებამოსილებას თვითნებურად იყენებს, და მით უფრო - არაკეთილსინდისიერად და ბოროტად, ცხადია, ეს, დიდი ალბათობით, გულისხმობს, რომ მისადმი ხალხს ვედარ ექნება ნდობა. ეს კი ყველაზე ხელშესახები გამოხატულებაა იმისა, რომ იგი აღარ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას და ყველაზე ლეგიტიმური მიზეზი იმისა, რომ დაატოვებინონ ეს თანამდებობა. სწორედ ამიტომ უწოდებენ იმპიჩმენტს ხელისუფლების დაცვის ინსტიტუტს; ეს არის იმპიჩმენტის ინსტიტუტის არსი და დანიშნულება - ხელისუფლებას ჩამოაშოროს მაღალი თანამდებობის პირი, ვისაც ხალხი აღარ ენდობა. პარლამენტსაც სწორედ იმიტომ ეკუთვნის იმპიჩმენტის უფლებამოსილება, რომ სწორედ ის არის ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ხალხის ნებას გამოხატავს და აფასებს, დაკარგა თუ არა შესაბამისმა პირმა ხალხის ნდობა. ეს არის იმპიჩმენტის მექანიზმის პოლიტიკური ნაწილის - რომელიც პარლამენტში ხორციელდება - არსი, ბუნება და ის მთავარი პოლიტიკური კრიტერიუმი, რომლის გამოყენებაც ეგების პარლამენტში როგორც პროცედურის აღძვრის, ისე, სასამართლოდან პოზიტიური დასკვნის მიღების შემდგომ, დამასრულებელ ეტაპზე.

აშშ-ში, სადაც იმპიჩმენტი კლასიკური ფორმით მოქმედებს, კონსტიტუციის კომენტატორები შემდეგნაირად განმარტავენ და აღწერენ იმპიჩმენტური დარღვევის არსს: „დარღვევა

სახელმწიფოს წინააღმდეგ“, „დარღვევა, რომელიც ზიანს აყენებს საზოგადოების კეთილდღეობას, სამართლიანობას, სამსახურის რეპუტაციასა და სიმტკიცეს“, „ოფიციალური მოვალეობებიდან გადახვევა“, „ხალხის მიერ ბოძებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენება“, „ხალხის ნდობის გატეხვა ან ბოროტად გამოყენება“, „ქმედება, რომელიც საშიშია საჯარო ინტერესის თვალსაზრისით“, „ქმედება, რომელიც მექრთამეობისა და ღალატის მსგავსად, ძირს უთხრის მთავრობის პატიოსნებას“, „ქმედება, რომელიც წარმოშობს სერიოზულ ეჭვებს საჯარო მოსამსახურის ან მოსამართლის პატიოსნებისა და შეუვალობისადმი“ და სხვა (Berger Raoul, *Impeachment- the Constitutional Problems*, 1974; Gerhardt T. Michael, *The Federal Impeachment Process – a Constitutional and Historical Analysis*, 1995; The Committee on Federal legislation of the Bar Association of the City of New York, *The Law of Presidential Impeachment*; 1975); მათ შორის, ყველაზე მეტი აქცენტი კეთდება სწორედ იმაზე, რომ იმპიჩმენტის საფუძველი არის ქმედება, რომელიც გულისხმობს ხალხის ნდობის ღალატს ან იწვევს ამ ნდობის დაკარგვას. აშშ-ს კონსტიტუციის სარატიფიკაციო კონვენტის შემდგომ ა. ჰამილტონი ჟურნალ „ფედერალისტში“ (N 65) იმპიჩმენტის საფუძვლების განმარტებისას წერს: „სენატის იურისდიქციის საგანი არის საჯარო ხელისუფლების პირის მიერ ჩადენილი დარღვევები, ესე იგი, საჯარო ნდობის ბოროტად გამოყენება ან გატეხვა. ეს არის ბუნება, არსი, რომელიც, თავისი სპეციფიკის გამო, სამართლიანად შეიძლება იწოდებოდეს „პოლიტიკურად“, რამდენადაც იგი უშუალოდ შეეხება იმ ზიანს, რომელიც უმაღვე ადგება საზოგადოებას“ .

აშშ-ის ფედერალური კანონმდებლობის წევრთა მოსაზრებებით „იმპიჩმენტური ქმედება არყვეს აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მოხელეებისადმი ხალხის საჯარო ნდობას, რაც აუცილებელია თავისუფალი საზოგადოების მართვის ეფექტიანობისთვის“. იმპიჩმენტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სპეციალისტი მ. გერჰარდტი კი წერს: „ხშირად ასე ისმის საკითხი, მაინც რატომ არის პოლიტიკური ბუნების დარღვევა იმპიჩმენტის საფუძველი? იმიტომ, რომ როდესაც ვინმეს თანამდებობა უკავია, ეს გულისხმობს, რომ ხალხი ენდობა მას, როდესაც ის ხალხის ნდობას უღალატებს, ის ჩამოცილებულ უნდა იქნეს თანამდებობიდან“. ასევე საინტერესოა წარმომადგენელთა პალატის სასამართლო კომიტეტის (ვისაც იმპიჩმენტის საქმის გამოძიება და იმპიჩმენტური ბრალდების წარდგენა ევალება) ყოფილი თავმჯდომარის ჰ. სამნერის სიტყვები, რომლებიც მან აშშ-ის კონგრესის სესიაზე განაცხადა : „ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას, ვამტკიცით მოპასუხის ბრალი დანაშაულის ჩადენაში. ეს კრიმინალური იურისდიქციის საკითხია. ჩვენ პასუხისმგებლობას ვკისრულობთ, რომ დამტკიცებული ფაქტების საფუძველზე განვსაზღვროთ, თუ რამდენად სერიოზულია და საფუძვლიანი ვარაუდები იმის თაობაზე, რომ ხალხს ეჭვი გაუჩნდა სახელმწიფო მოხელისა თუ მოსამართლის პიროვნების პატიოსნებასა და შეუვალობაში“ (Berger Raoul, *Impeachment- the Constitutional Problems*, 1974; გვ. 119).

ასე რომ, იმგვარი ხედვის გავრცელება, რომელიც ხალხის ნდობადაკარგული პირის თანამდებობიდან გადაყენებას გულისხმობს კონკრეტული დარღვევების საფუძველზე, არათუ

ეწინააღმდეგება, არამედ ყველაზე უკეთ შეესაბამება იმპიჩმენტის პოლიტიკურ-სამართლებრივ ბუნებას, რასაც იმპიჩმენტის ქართული კონსტიტუციური მექანიზმიც გულისხმობს. ამიტომაც არის ჩვენი კოლეგების ზემოაღნიშნული არგუმენტები არაადეკვატური და მიზანსაცდენილი.

„განსხვავებული აზრის“ პოზიცია № 9:

„იმპიჩმენტის პროცესში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქცია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სამართლებრივი კრიტერიუმებით შეაფასოს, საქართველოს კონსტიტუციის რომელი დებულება დაირღვა, გააანალიზოს, მათ შორის, დარღვევის ხასიათი, ინტენსივობა, მისგან გამოწვეული შედეგი, თანამდებობის პირის ბრალეულობის ხარისხი, იმ სამართლებრივ სიკეთეთა ურთიერთმიმართება, რაც შესაძლოა დაზიანდეს იმპიჩმენტის შედეგად და რის დაცვასაც ისახავს მიზნად იმპიჩმენტის პროცესი“.

ვგონებ, საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა ყველა მოცემულობა, რისი შეფასებაც სამართლებრივი კრიტერიუმებით შეიძლებოდა: მათ შორის, დაადგინა, რომ დარღვეული იყო კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დანაწესი. დასკვნაში განხილული და შეფასებულია ჩადენილი დარღვევის არსი და საშიშროება, ახსნილია საფრთხეები, რომლებიც დაკავშირებულია მთავრობის თანხმობის გარეშე წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელებასთან და პრეზიდენტის მხრიდან მთავრობის გვერდის ავლით პარალელური საგარეო პოლიტიკის წარმოებასთან; განხილულია კონკრეტული ფაქტები, მოხმობილია მტკიცებულებები; სასამართლომ შეაფასა და დაადგინა თითოეული კომპონენტის არსებობა თუ არარსებობა (შეხებოდა თუ არა საქმე საგარეო ურთიერთობებს; წარმომადგენლობას საგარეო ურთიერთობებში; განხორციელდა თუ არა ეს წარმომადგენლობა მთავრობის თანხმობის გარეშე; ჰქონდა თუ არა გაცნობიერებული კონსტიტუციის დარღვევით რომ მოქმედებდა და სხვა). დასკვნა, ასევე, შეიცავს საბოლოო შეფასებას ქმედებისა და ახსნილია, რომ ჩადენილი დარღვევა „გულისხმობს საგარეო პოლიტიკის განხორციელების სფეროში მთავრობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებში შეჭრას და ამ მიზეზით, საფრთხის შემცველია ხელისუფლების დანაწილების, მმართველობის საპარლამენტო მოდელის ქმედითი ფუნქციონირებისა და არსებული კონსტიტუციური სისტემის მდგრადობის შენარჩუნების თვალსაზრისით“ და რომ ეს წარმოადგენს „კონსტიტუციის დარღვევას“ საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის მიზნებისათვის. ერთადერთი გარემოება, რომლის შეფასებაც სასამართლომ ვერ შეძლო, ეს არის კონსტიტუციის დარღვევის პოლიტიკური შედეგები, რაც პოლიტიკურ ხელისუფლებას მიანდო. უფრო შორს წასვლა, მაგალითად, ბრალის ხარისხის განსაზღვრა, საჭირო არ იყო, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან განხორციელებული პროცედურა არ გულისხმობს სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას და სამართლებრივი სანქციის შეფარდებას. ასე რომ, ამ ნაწილშიც განსხვავებული აზრის ავტორთა საყვედურს არ გააჩნია არავითარი საფუძველი.

„განსხვავებული აზრის“ პოზიცია № 10:

განსხვავებულ აზრში „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი ფუნქციის განხორციელებაზე უარის თქმად“ არის შეფასებული დასკვნის შემდეგი დებულებით გამოხატული პოზიცია:

... საკონსტიტუციო სასამართლო ცალსახად და მკაფიოდ აღნიშნავს, რომ მისი როლი არ არის იმის შეფასება, იმპიჩმენტის სამართლებრივი საფუძვლის დადასტურების შემთხვევაში, იმსახურებს თუ არა კონკრეტული თანამდებობის პირი, შესაბამისი დარღვევის (კონსტიტუციის დარღვევის ან/და მათ ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის) გამო თანამდებობიდან გადაყენებას, რასაც საკონსტიტუციო სასამართლოს დადებითი დასკვნის შემთხვევაში გადაწყვეტს საქართველოს პარლამენტი შესაბამისი პოლიტიკური მოსაზრებების მიხედვით ...“

განსხვავებული აზრის ავტორთა აზრით:

„კითხვაზე – იმსახურებს თუ არა საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობიდან გადაყენებას, პასუხი უნდა გასცეს საკონსტიტუციო სასამართლომ, სამართლებრივი ანალიზის შედეგად და არა საქართველოს პარლამენტმა – პოლიტიკური მიზანშეწონილობით.“

„სწორედ ზემოაღნიშნული კრიტერიუმების მხედველობაში მიღებით, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, დასაშვებია თუ არა პირის თანამდებობიდან გადაყენება.“

„საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით უნდა დადგენილიყო არა მხოლოდ ქმედების საქართველოს კონსტიტუციასთან ფორმალური წინააღმდეგობის ფაქტი, არამედ, ასევე უნდა შეფასებულიყო, შეიძლება თუ არა არსებული დარღვევა საფუძვლად დადებოდა საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებას.“

„იმ დაშვების პირობებშიც კი, რომ საქართველოს პრეზიდენტს მთავრობის თანხმობის გარეშე არ ჰქონდა სადავო ვიზიტების განხორციელების უფლებამოსილება, ვთვლით, რომ, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საფუძველი არ არსებობს.“

კოლეგების პოზიცია - რომ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმეა, სამართლებრივი ანალიზის შედეგად დაადგინოს, იმსახურებს თუ არა საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობიდან გადაყენებას, და არა პარლამენტისა - ერთბაშად რამდენიმე მიზეზის გამოა საფუძველშივე მცდარი.

ფაქტობრივად, ისინი მოითხოვენ, რომ:

- სასამართლომ შეაფასოს პოლიტიკური საკითხი, მაშინ როდესაც, პოლიტიკური საკითხის სამართლებრივი კრიტერიუმებით შეფასება არასწორია და შეუძლებელი, ხოლო პოლიტიკურ კრიტერიუმებს კი სასამართლო ვერ გამოიყენებს, რადგან ესეც არასწორია და შეუძლებელი. პოლიტიკური საკითხი უნდა შეფასდეს პოლიტიკური

კრიტერიუმებით, რაც საკითხის სამართლებრივი განხილვის ფარგლებში შესაძლებელი არ არის;

- სასამართლომ თავის თავზე აიღოს იმ ფუნქციის შესრულება, რაც კონსტიტუციამ ხელისუფლების პოლიტიკურ განშტოებას *expressis verbis* მიაწოდო. ამის დაშვება იქნებოდა კონსტიტუციის პირდაპირი დარღვევა და პარლამენტის უფლებამოსილებებში შეჭრა, თანაც იმ პირობებში, როდესაც გონივრულია, რომ ეს უფლებამოსილება პოლიტიკურ ხელისუფლებას გააჩნდეს და პირიქით: არ არის გონივრული, რომ სასამართლოს გააჩნდეს.

ახლა უფრო დაწვრილებით:

**რატომ ვერ შეაფასებს სასამართლო „სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე“
საკითხს - იმსახურებს თუ არა თანამდებობის პირი თანამდებობიდან გადაყენებას
(ზოგადი მიდგომა)**

კოლეგებს არ დაუზუსტებიათ, თუ კერძოდ რას გულისხმობს „სამართლებრივი ანალიზის შედეგად“ „თანამდებობიდან გადაყენების დამსახურებულობის“ შეფასება, მაგრამ თუ ლოგიკურ შინაარსს შევძენთ და ჩვენვე შევასხამთ ხორცს, სავარაუდოდ, ისინი გულისხმობენ „თანაზომიერებისა“ და „სამართლიანობის“ კრიტერიუმებს და მიიჩნევენ, რომ მათი მეშვეობით უნდა შეფასებულიყო, იმსახურებდა თუ არა ჩვენი პრეზიდენტი გადაყენებას.

როგორც ჩანს, კოლეგებმა ვერ გაიაზრეს ან სათანადოდ არ გაითვალისწინეს იმპიჩმენტის ქართული მექანიზმის სამართლებრივ-პოლიტიკური ბუნება, საკუთრივ „თანამდებობიდან გადაყენების“ წმინდა პოლიტიკური ხასიათი, რის გამოც, ის ვერ შეფასდება თანაზომიერებისა და სამართლიანობის კრიტერიუმებით; მათ კონსტიტუციის 48-ე მუხლის განზრახულობის საპირისპიროდ განმარტეს იმპიჩმენტის პროცედურის ეტაპები, თითოეულ ეტაპზე გადასაწყვეტი საკითხები და პროცედურაში საკონსტიტუციო სასამართლოს როლი.

იმპიჩმენტი ვინმეს სამართლებრივ პასუხისმგებლობასა და სასჯელს არ განსაზღვრავს, სასამართლოს გადასაწყვეტი რომ იყოს იმის შეფასება, როგორ სასჯელს იმსახურებს შესაბამისი სამართალდარღვევა თანაზომიერებისა და სხვა სამართლებრივი კრიტერიუმებით. იმპიჩმენტის ვერდიქტი ვერც შედეგის თვალსაზრისით გამოიწვევს ავტომატურად რაიმე სამართალწარმოების დაწყებას იმპიჩმენტით გადაყენებული პირის მიმართ. მაგალითად, კიდევაც რომ დაადასტუროს საკონსტიტუციო სასამართლომ თანამდებობის პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა, ეს არ ავალდებულებს პროკურორს, აუცილებლად აღძრას სისხლისსამართლებრივი დევნა. საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან კონსტიტუციის დარღვევის ანდა ქმედებაში დანაშაულის ნიშნების დადასტურება არ წარმოადგენს თანამდებობის პირისათვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების აქტს, ისევე, როგორც „თანამდებობიდან გადაყენება“ იმპიჩმენტის პროცესში „სასჯელი“ როდია სამართლებრივი გაგებით. იმპიჩმენტი ხელისუფლების სიჯანსაღის დაცვის ინსტიტუტია და მისი მიზანი ინდივიდის დასჯა კი არ არის, არამედ ხელისუფლების დაცვა მათგან, ვინც

საჯარო ხელისუფლებას არამართლზომიერად იყენებს. იგი გამოხატავს მხოლოდ თანამდებობის პირის პოლიტიკურ პასუხისმგებლობას წარმომადგენლობითი ორგანოს წინაშე.

საკითხი იმის თაობაზე, იმსახურებს თუ არა თანამდებობის პირი, იმპიჩმენტის საფუძვლების დადასტურების შემთხვევაში, თანამდებობიდან გადაყენებას - ეს პოლიტიკური საკითხია და პოლიტიკური კრიტერიუმებით უნდა გადაწყდეს. გადაყენონ თუ არა პირი თანამდებობიდან (იმპიჩრებადი ქმედების ჩადენის დადასტურების შემთხვევაში), იმის მიხედვით უნდა გადაწყდეს, დაკარგა თუ არა თანამდებობის პირმა ნდობა ჩადენილის გამო; არსებობს თუ არა თანამდებობიდან მისი სასწრაფოდ ჩამოცილების საჭიროება; რა უფრო გამართლებულია, მისი თანამდებობიდან ჩამოცილება თუ მისი დატოვება; დასაშვებია თუ არა, მან გააგრძელოს თანამდებობაზე ყოფნა; არის თუ არა ხელისუფლების რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანი ისეთი მნიშვნელოვანი, რომ მისი თანამდებობაზე დატოვება მეტი ზიანის მომტანი იქნება ხელისუფლების სიჯანსაღისა და მისადმი ხალხის ნდობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ეს ის საკითხებია, რომლებიც სამართლებრივი კრიტერიუმებით, მათ შორის, **სამართლიანობისა და თანაზომიერების კრიტერიუმებით არ იზომება.**

უფრო მეტიც, **თანამდებობიდან გადაყენების საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ იმის მიხედვითაც არ ხდება, იმსახურებს თუ არა პირი ამას.** შეიძლება იგი გარკვეულწილად იმსახურებდეს კიდევაც თანამდებობიდან გადაყენებას, მაგრამ ამ გადაწყვეტილების მიღება მაინც არ იყოს პოლიტიკურად მიზანშეწონილი. გადაყენების მოტივები მხოლოდ უშუალოდ დარღვევის ხასიათსა და სიმძიმეს კი არ უკავშირდება, არამედ კიდევ სხვა არაერთი ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს. მაგალითად, იმას, თუ როგორია საერთო პოლიტიკური კონტექსტი და ვითარება, როგორი იქნება იმპიჩმენტის პოზიტიური ან ნეგატიური ვერდიქტის აღქმადობა საზოგადოებაში, რა გავლენას მოახდენს იგი პოლიტიკურ პროცესებზე და სხვა. ამგვარად, ეს არის საკითხები, რომლებიც **მით უფრო ვერ გაიზომება სამართლიანობისა და თანაზომიერების კრიტერიუმებით.** ამიტომ, იმპიჩმენტის პროცედურაში თავისი კონსტიტუციური როლის შესრულებისას საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა იმსჯელოს და სამართლებრივი კრიტერიუმებით ვერც იმსჯელებს, რამდენად სწორი და გამართლებულია შესაბამისი თანამდებობის პირისათვის პოლიტიკური პასუხისმგებლობის მოთხოვნა და რამდენად თანაზომიერი და სამართლიანია თანამდებობიდან გადაყენება. სწორედ იმპიჩმენტის არსი, მისი დანიშნულება და მიზანი, იმპიჩმენტური ვერდიქტის - „თანამდებობიდან გადაყენების“ - პოლიტიკური ბუნება გამორიცხავს სამართლიანობის, თანაზომიერებისა და სხვა სამართლებრივი კრიტერიუმებით იმის შეფასებას, იმსახურებს თუ არა თანამდებობის პირი ჩადენილის გამო თანამდებობიდან გადაყენებას, ან უნდა იქნეს თუ არა იგი გადაყენებული დამსახურების მიუხედავად.

რატომ გამორიცხავს საკუთრივ კონსტიტუციის 48-ე მუხლი სასამართლოს მხრიდან იმის შეფასებას, „იმსახურებდა თუ არა პრეზიდენტი თანამდებობიდან გადაყენებას“

საქმე ისაა, რომ კონსტიტუციის 48-ე მუხლი პირდაპირ უკრძალავს საკონსტიტუციო სასამართლოს თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენების საჭიროებაზე იმსჯელოს და შეაფასოს, იმსახურებს თუ არა ამა თუ იმ იმპიჩირებადი ქმედების ჩამდენი პირი თანამდებობიდან გადაყენებას.

ამისათვის საკმარისია, დავაკვირდეთ კონსტიტუციის 48-ე მუხლით გათვალისწინებულ მექანიზმს:

იმპიჩმენტის ქართული კონსტიტუციური პროცედურა სამსაფეხუროვანია.

1. იმპიჩმენტის აღძვრა და ბრალდების წაყენება, რაც ხორციელდება პარლამენტში, პოლიტიკურ მიზანშეწონილობას ემყარება და პოლიტიკური კრიტერიუმების გამოყენებას მოითხოვს (პირველი საფეხური);
2. იმპიჩმენტის სამართლებრივი საფუძვლების დადასტურება ან უარყოფა, რაც ხორციელდება საკონსტიტუციო სასამართლოში, სამართლებრივი კრიტერიუმების გამოყენებით (მეორე საფეხური);
3. თანამდებობიდან გადაყენების საკითხის გადაწყვეტა (სასამართლოს დადებითი დასკვნის შემთხვევაში), რაც ხორციელდება პარლამენტში, პოლიტიკურ მიზანშეწონილობას ემყარება და პოლიტიკური კრიტერიუმების გამოყენებას მოითხოვს (მესამე საფეხური);

ჩვენი კოლეგები, ფაქტობრივად, გვადანაშაულებენ იმაში, რომ სასამართლომ თავისი უფლებამოსილება შემოსაზღვრა მეორე საფეხურით და არ მიითვისა მესამე საფეხურზე გადასაწყვეტი საკითხების გადაჭრის უფლებამოსილება, რაც კონსტიტუციით ხელისუფლების პოლიტიკური განშტოებისათვის არის მინდობილი; ფაქტობრივად, გვსაყვედურობენ იმის გამო, რომ არ განვახორციელეთ პოლიტიკური საკითხების შეფასება სამართლებრივი კრიტერიუმებით, რაც შეუძლებელია, ანდა - პოლიტიკური კრიტერიუმებით, რისი უფლებაც არ გვქონდა; კოლეგები გვაკრიტიკებენ იმისათვის, რომ არ შევიჭერთ პარლამენტის ფუნქციებში, არ განვახორციელეთ ხელისუფლების უზურპაცია და დავუტოვეთ მას კონსტიტუციით მისთვის განსაზღვრული უფლებამოსილება. თანაც, ყოველივე ამას ჩვენმა კოლეგებმა უკიდურესად მძიმე შეფასება მისცეს, როდესაც მიუთითეს, რომ ეს წარმოადგენდა „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი ფუნქციის განხორციელებაზე უარის თქმას“.

ნამდვილად გაგვიჭირდებოდა „საკუთარ ფუნქციად“ გვეგულვა ის, რაც კონსტიტუციის მიხედვით, აშკარად, ნათლად და არაორაზროვნად, ხელისუფლების სხვა განშტოებას ეკუთვნის. თანაც, სრულიად გონივრულად ეკუთვნის, ხოლო სასამართლოს კი პრინციპულად არ შეიძლება ეკუთვნოდეს.

ვფიქრობ, სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობამ კი არ თქვა უარი თავისი ფუნქციის განხორციელებაზე, არამედ „განსხვავებული აზრის“ ავტორებმა გადამეტებულად წარმოიდგინეს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, შეიჭრნენ პოლიტიკის სფეროში, სადაც სასამართლოს არაფერი ესაქმება, მიუხედავად იმპიჩმენტის სამართლებრივი

და პოლიტიკური კომპონენტებისა და ორ კონსტიტუციურ ორგანოს შორის იურისდიქციების მკვეთრი გამიჯვნისა კონსტიტუციის 48-ე მუხლით.

ამგვარად, „განსხვავებული აზრის“ ავტორთა მოსაზრება, გარდა იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან არც სამართლებრივი და არც პოლიტიკური კრიტერიუმებით არ არის განხორციელებადი და, იმავდროულად, პოლიტიკაში არაკომპეტენტურ შეჭრას გულისხმობს, დამატებით, კონსტიტუციის 48-ე მუხლის პირდაპირ დარღვევასაც იწვევს. კარგია, რომ მოსამართლეთა უმრავლესობა არ დაადგა ამ გზას.

საკონსტიტუციო სასამართლოს კვლავ დიდი სივრცე რჩება იმპიჩმენტის სფეროში სხვადასხვა სამართლებრივი საკითხის დამუშავებისა და შემოქმედებითი მიდგომების განვითარებისათვის, ოღონდ, არა იმ კუთხით, არკვიოს, როგორი კონსტიტუციის დარღვევა იმსახურებს გადაყენებას და როგორი არა, არამედ იმ თვალსაზრისით, სწორად განსაჯოს, არის თუ არა ესა თუ ის ქმედება კონსტიტუციის დარღვევა კონსტიტუციის 48-ე მუხლის მიზნებისათვის. მაგალითად, საინტერესოა, წარმოადგენს თუ არა „კონსტიტუციის დარღვევას“ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის მიღების შემდგომ, პრეზიდენტის მხრიდან უცხოეთში მთავრობასთან შეუთანხმებელი ოფიციალური ვიზიტების განხორციელების გაგრძელება; როგორ უნდა შეფასდეს კონსტიტუციის ჭრილში პრეზიდენტის მხრიდან საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის უგულებელყოფა; წამოიჭრება თუ არა „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ ანდა საპრეზიდენტო ფიცის დარღვევის საკითხები; კონსტიტუციის რომელი მუხლებია გამოყენებადი მოცემული შემთხვევების მიმართ და სხვა.

შესაბამის შემთხვევებში თვითშეზღუდვის ვალდებულება

კიდევაც რომ არ ყოფილიყო კონსტიტუციის 48-ე მუხლით ასე მკვეთრად გამიჯნული პროცედურის პოლიტიკური და სამართლებრივი საფეხურები, სასამართლოს მაინც უნდა ემოქმედა გონივრულად და თვითშეზღუდვით, რათა უმწიფარი სამართლებრივი კულტურა კი არ ეჩვენებინა, არამედ განვითარებული. ესა თუ ის სამართლებრივი ნორმა, შიდა კანონმდებლობისა იქნება თუ საერთაშორისო სამართლისა, სასამართლოს შეიძლება ანიჭებდეს (ან მკვეთრად არ უკრძალავდეს) გარკვეული საკითხების განხილვის უფლებამოსილებას, მაგრამ სასამართლოს მუდამ ევალება, შესაბამის შემთხვევებში კეთილგონივრულად იმოქმედოს, თვითშეზღუდვას მიმართოს და თავისი იურისდიქცია უგუნურად არ განავრცოს. ამის კარგი მაგალითია სტრასბურგის სასამართლოს მიერ შემუშავებული „შეფასების თავისუფლების დოქტრინა“ (margin of appreciation), რომელიც საერთაშორისო სასამართლოს მხრიდან იმგვარი საკითხების შეფასებისაგან თავის შეკავებას (თვითშეზღუდვას) გულისხმობს, რომლის უფლებაც ევროპული კონვენციით მას თავისუფლად გააჩნია, მაგრამ, როგორც თავად აღმოაჩინა და დაადგინა, ყოველთვის გონივრული არ არის, ვინაიდან ხშირად ეროვნული ხელისუფლების შეფასება უფრო ადეკვატური შეიძლება იყოს, ვიდრე საერთაშორისო მოსამართლისა. ეროვნული შეფასების თავისუფლების დოქტრინა, რასაც ევროპული კონვენციის სამართალი ემყარება, სხვა

არაფერია, თუ არა საერთაშორისო სასამართლოს მხრიდან იმის აღიარება, რომ გარკვეულ საკითხებში, რომლებიც ევროპულ ზედამხედველობას ექვემდებარება, მისი ხედვები ნაკლებად ეკვატორია, და ამიტომ გონივრულია, ასეთ დროს იგი ეროვნული შეფასების თავისუფლების ფარგლებში დატოვოს, ევროპული ზედამხედველობა შეზღუდოს და ნაკლებ კრიტიკული იყოს.

თუმცა, განსახილველ საკითხთან მიმართებაში კიდევ უფრო რელევანტურია ე.წ. „პოლიტიკური საკითხის დოქტრინა“, რომელიც ასევე სასამართლოს თვითშეზღუდვას გულისხმობს. კერძოდ, იგი სასამართლოებს კარნახობს, არ ჩაერიონ იმგვარი საკითხების განხილვაში, რომლებიც პოლიტიკურია თავისი არსით და პოლიტიკური კრიტერიუმების გამოყენებას მოითხოვს, რასაც სასამართლო ვერ გამოიყენებს. საგულისხმოა, რომ სწორედ პოლიტიკური საკითხის დოქტრინაზე დაყრდნობით განახორციელა აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ თვითშეზღუდვა იმპიჩმენტის საქმეებზე მისი პოლიტიკური ბუნების გამო. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ 1993 წელს უარი თქვა არსებითად ემსჯელა სენატის იმპიჩმენტის ვერდიქტზე, როდესაც იმპიჩმენტის წესით გადაყენებულმა ფედერალურმა მოსამართლემ *ვალტერ ნიქსონმა* შესაბამისი სარჩელი შეიტანა უზენაეს სასამართლოში. მოელოდნენ, რომ უზენაესი სასამართლო განმარტავდა იმპიჩმენტის სფეროში ვონგრესის უფლებამოსილების ფარგლებს, იმპიჩმენტის საფუძვლებს და შეაფასებდა მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენების კონსტიტუციურობას. მაგრამ აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ არ მიიჩნია ეს „სასამართლო განხილვას დაქვემდებარებულ“ საკითხად. მან დააკვნა, რომ **სასამართლო, თავისი სამართლებრივი კრიტერიუმებით, ვერასოდეს შეაფასებდა, რამდენად გამართლებული იყო შესაბამისი იმპიჩირებადი დარღვევის გამო დამრღვევის თანამდებობიდან გადაყენება.** საგულისხმოა, რომ ეს პრეცედენტი შემდგომ არასოდეს დამდგარა ექვეყნე. საბოლოოდ ჩამოყალიბდა მიდგომა, რომ „სასამართლო კონტროლს არანაირი როლი არა აქვს იმპიჩმენტის საქმეებზე“ (**Black L. Charlis, *Impeachment, a Handbook*, 1974**); რომ იმპიჩმენტი სასამართლო კონტროლს არ უნდა ექვემდებარებოდეს და რომ ამის დაშვება დაარღვევდა ხელისუფლების განშტოებებს შორის არსებულ ბალანსს.

არადა, ჩვენი კოლეგები დაბეჯითებით ამტკიცებენ საპირისპიროს - რომ სასამართლო არ უნდა შემოფარგლულიყო კონსტიტუციით მისთვის განსაზღვრული ამოცანის - იმპიჩმენტის სამართლებრივი საფუძვლის (კონსტიტუციის დარღვევის) დადგენით და ისიც უნდა შეეფასებინა, „იმსახურებდა თუ არა პრეზიდენტი თანამდებობიდან გადაყენებას“, რაც, გარდა იმისა, რომ პოლიტიკური საკითხია, კონსტიტუციითაც პარლამენტის გადაწყვეტილებას ექვემდებარება.

პოლიტიკური საკითხის დოქტრინის მიხედვით, როდესაც საქმე წმინდა პოლიტიკურ საკითხს შეეხება, მასში სასამართლოს ყოველგვარი ჩარევა შეზღუდულია. ეს დოქტრინა განსაზღვრავს შემთხვევათა ორ ჯგუფს, როდესაც საქმეში არ უნდა ერეოდეს სასამართლო. შემთხვევების პირველი ჯგუფი გულისხმობს ვითარებას, როდესაც „სასამართლოს ჩარევა სასურველია არ განხორციელდეს“, რადგან არსებობს საჭიროება, რომ უკვე მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება არ შეიცვალოს, ან საკითხი არ არის იმგვარი ბუნებისა, რომ სასამართლოს ჩარევა აუცილებელი იყოს. ასეთ დროს ამბობენ, რომ სასამართლო კონტროლი

კეთილგონიერების გამო არ უნდა განხორციელდეს. მე-2 ჯგუფი კი წარმოადგენს შემთხვევებს, როდესაც სასამართლო არ უნდა ჩაერიოს საკითხებში, როდესაც თვით კონსტიტუციის ტექსტით არის დემონსტრირებული საკითხის დაქვემდებარება პოლიტიკური ორგანოსათვის. ასეთ შემთხვევებში, სასამართლო იმიტომ ვერ ჩაერევა, რომ შესაბამის საკითხებზე მსჯელობა შეუძლებელია „სასამართლოსათვის მოსახერხებელი სტანდარტებით“ (*judicially manageable standards*). საგულისხმოა, რომ იმპიჩმენტს მიაკუთვნებენ ზემოთ დასახელებულ ორივე ჯგუფს ერთდროულად. იმპიჩმენტზე სასამართლო კონტროლი შეუძლებლადაც განიხილება და არასასურველადაც. აშშ-ის კონსტიტუციის კომენტატორები მიუთითებენ, რომ იმპიჩმენტის უფლება - ეს წმინდა პოლიტიკური უფლებაა, რომელიც მოითხოვს მიხედულების ძალიან ფართო ფარგლებს, ამიტომ იგი ეკუთვნის და უნდა ეკუთვნოდეს ხალხისადმი ანგარიშვალდებულ პოლიტიკურ ხელისუფლებას (**Robert Sedler, Impeachment and Political Question Doctrine**; Speech to the Federal Bar Association, Detroit, Mi; Oct. 1992; **Blanpail R. Judicial Review**, a) *The Political Question Doctrine*, b) *Limitation of Judicial Review*; American Constitutional Law in International Encyclopedia of Laws; part II; Ch. 5; 1993);

შესაბამისად, თუ ჩვენს განსახილველ საკითხს დავუბრუნდებით, აშკარაა, რომ მოცემულ შემთხვევაშიც, საკითხს - იმსახურებდა თუ არა პრეზიდენტი ჩადენილის გამო თანამდებობიდან გადაყენებას -სასამართლო ვერ შეეხებოდა ზემოაღნიშნული ორივე მიზეზით, ცალ-ცალკე და ერთობლივად - ერთი მხრივ, საკითხის პოლიტიკური ბუნებისა და, მეორე მხრივ, კონსტიტუციით მისი პოლიტიკური ორგანოსადმი დაქვემდებარების გამო.

“განსხვავებული აზრის” პოზიცია № 11:

„საქართველოს პარლამენტი, საკითხის გადაწყვეტისას, არ არის შეზღუდული რაიმე სამართლებრივი კრიტერიუმებით, მას არც მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება მოეთხოვება და არც მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ობიექტური საფუძვლების გაგებაა შესაძლებელი. საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება, როგორც წესი, პოლიტიკურ მიზანშეწონილობას ეფუძნება. აღნიშნული კი ქმნის პირის თანამდებობიდან პოლიტიკური მოტივებით გადაყენების რისკებს, მაშინ, როდესაც, იმ კონსტიტუციური სიკეთეების დაცვის, რის უზრუნველყოფასაც იმპიჩმენტი ისახავს მიზნად, არათუ აუცილებლობა, არამედ მინიმალური საჭიროებაც კი არ არსებობს“.

კოლეგების ეს შეშფოთება უსაფუძვლოა. დიახ, საქართველოს პარლამენტი, „საკითხის გადაწყვეტისას არ არის შეზღუდული სამართლებრივი კრიტერიუმებით“ და ვერც იქნება. „პარლამენტის გადაწყვეტილება პოლიტიკურ მიზანშეწონილობას ეფუძნება“ და უნდა ეფუძნებოდეს; მას „მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება არ მოეთხოვება“ და არც უნდა მოეთხოვებოდეს. ასევე უსაფუძვლოა იმის გამო შეშფოთება, რომ „პარლამენტში არსებობს პირის თანამდებობიდან პოლიტიკური მოტივებით გადაყენების რისკი“. დიახ, იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება პოლიტიკური მოტივებით ხდება, პოლიტიკური პასუხის მოთხოვნას ნიშნავს და ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წინაშე მაღალი თანამდებობის პირის პოლიტიკურ ანგარიშვალდებულებას

განასახიერებს, ოღონდ, ცხადია, შესაბამისი კონკრეტული (საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადასტურებული) დარღვევის საფუძველზე და არა თვითნებურად და უსაფუძვლოდ;

რაც შეეხება დებულებას, რომ საზოგადოდ, პარლამენტში, იმპიჩმენტის საკითხის გადაწყვეტისას, არსებობს პოლიტიკური მოტივებით გადაყენების რისკები, „მაშინ, როდესაც, იმ კონსტიტუციური სიკეთეების დაცვის, რის უზრუნველყოფასაც იმპიჩმენტი ისახავს მიზნად, არათუ აუცილებლობა, არამედ მინიმალური საჭიროებაც კი არ არსებობს“ : ამ დებულების აზრს ვერ ჩავწვდი და გაუგებარი დარჩა, რომელი კონსტიტუციური სიკეთეების დაცვის საჭიროება არ არსებობს სინამდვილეში იმ სიკეთეებიდან, რომელთა დაცვასაც იმპიჩმენტი ემსახურება საზოგადოდ. საერთოდ, რატომ არ არის კონსტიტუციური წესრიგი, ხელისუფლების განაწილების სისტემა და კონსტიტუციური ორგანოების მათთვის განსაზღვრულ ფარგლებში მოქმედება ის სიკეთე, რომელსაც იმპიჩმენტი იცავს და, იმავდროულად, დაცვის ღირსი ინტერესიც არის. ასევე გაუგებარია, როგორ ან რატომ უნდა დააზღვიოს სასამართლომ ვინმეს პოლიტიკური მოტივით გადაყენება, თუკი იმპიჩმენტის სამართლებრივი საფუძველი უკვე დადასტურებულია, ხოლო პარლამენტის მიერ დამრღვევის თანამდებობიდან პოლიტიკური მიზანშეწონილობით გადაყენება კი სრულიად ბუნებრივი და კონსტიტუციურად გამართლებული მოვლენაა.

„განსხვავებული აზრის“ პოზიცია № 12:

„საქართველოს კონსტიტუციის ნებისმიერი დარღვევა არ უნდა იქნეს მიჩნეული იმგვარ შემთხვევად, რომელზე რეაგირების მექანიზმდაც კონსტიტუცია იმპიჩმენტს ითვალისწინებს. საპირისპიროს მტკიცების შემთხვევაში, კონსტიტუციის დარღვევის ნებისმიერი ფაქტის დადგენა (მათ შორის, შესაბამისი სამართლებრივი აქტისა თუ თანამდებობის პირის ქმედების არაკონსტიტუციურად ცნობა) ავტომატურად შექმნის იმპიჩმენტის საფუძველს. ასეთი განმარტება კი მსუსხავ ეფექტს იქონიებს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე და, ამდენად, საფრთხე შეექმნება მათ მიერ კონსტიტუციური ფუნქციების ეფექტიან განხორციელებას“.

ეს დებულება კონსტიტუციის განზრახულობას ეწინააღმდეგება. არსებითად მართალია ის, რომ კონსტიტუციის 48-ე მუხლით განსაზღვრული იმპიჩმენტის საფუძველები „კონსტიტუციის დარღვევა“ და „ქმედება, რომელიც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს,“ სრულიად სხვადასხვა ხასიათისა და სიმძიმის ქმედებებს შეიძლება გულისხმობდეს და, შესაბამისად, მისი ჩამდენის თანამდებობიდან გადაყენების სრულიად სხვადასხვა ხარისხის აუცილებლობას ქმნიდეს. ამაზე გარკვევით მივუთითეთ დასკვნაშიც. თუმცა, კონსტიტუციამ ეს იმით დააბალანსა, რომ იმპიჩმენტის საფუძვლის არსებობა ავტომატურად არ იწვევს მისი ჩამდენის თანამდებობიდან გადაყენებას და, რომ „კონსტიტუციის დარღვევა“ ან „დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედება“ მხოლოდ აუცილებელი საფუძველია, მაგრამ არა საკმარისი იმპიჩმენტური ვერდიქტისათვის. მეორე აუცილებელი პირობა ისაა, რომ თანამდებობიდან გადაყენება შესაბამის დროს, შესაბამის გარემოებებში და პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, პოლიტიკურად მიზანშეწონილიც უნდა იყოს და ეს მიზანშეწონილობა

პარლამენტის წევრების მიერ უნდა შეფასდეს. ცხადია, კონსტიტუცია ამ დროს ეყრდნობა გამართლებულ პრეზუმფციას, რომ იმპიჩმენტის ვერდიქტის მიღებისას ხალხის წარმომადგენლები კეთილგონივრულად იმოქმედებენ.

გარდა ამისა, კიდევაც რომ არ ეწინააღმდეგებოდეს პირდაპირ მითითებული მოსაზრება იმპიჩმენტის საფუძვლების შესახებ კონსტიტუციის 48-ე მუხლის დანაწესს, ისედაც გაჭირდებოდა, თუ საერთოდ შეუძლებელი არ გახდებოდა, საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან რაიმე უნივერსალური კრიტერიუმის შემოღება, რომლის მეშვეობითაც მკაფიოდ გაიმიჯნებოდა „კონსტიტუციის დარღვევები“, ან „დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედებები“, რომლებთან მიმართებაშიც იმპიჩმენტით რეაგირება ადეკვატური იქნებოდა იმ „კონსტიტუციის დარღვევებისა“, ან „დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედებებისაგან“, რომელთა მიმართებაში იმპიჩმენტით რეაგირება შეუსაბამო იქნებოდა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ყოველ ინდივიდუალურ დარღვევას თან ახლავს უამრავი მახასიათებელი და ინდივიდუალური გარემოება, რომელთა გარეშეც მათზე რეაგირების ადეკვატურობაზე მსჯელობა, ჰიპოთეტურად, ყოველგვარ აზრს დაკარგავდა.

რაც შეხება იმას, რომ თუ „კონსტიტუციის დარღვევის ნებისმიერი ფაქტი“ „ავტომატურად შექმნის იმპიჩმენტის საფუძველს“, ეს „მსუსხავ ეფექტს“ იქონიებს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე და, ამდენად, საფრთხე შეექმნება მათ მიერ კონსტიტუციური ფუნქციების ეფექტიან განხორციელებას“, ასე უნდა ვუპასუხოთ:

ჯერ ერთი, კონსტიტუციური ფუნქციების ეფექტიანი განხორციელება, ცხადია, მნიშვნელოვანი ინტერესია, მაგრამ ეს იმას არ გულისხმობს, რომ კონსტიტუციური ინტერესია, იმ თანამდებობის პირმაც გააგრძელოს თანამდებობაზე ყოფნა, ვინც თავის უფლებამოსილებას არაკეთილსინდისიერად იყენებს. ამ თვალსაზრისით, მეტად საგულისხმოა, რომ არაერთი ევროპული ქვეყნის (გერმანია, იტალია, სლოვენია, უნგრეთი) კონსტიტუცია გაცილებით მკაცრ მიდგომებს იყენებს და საკონსტიტუციო სასამართლოს იმ უფლებამოსილებითაც კი აღჭურავს, რომ მან იმპიჩმენტის საქმის წარმოების განმავლობაში პრეზიდენტს დროებით შეუჩეროს თავისი უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა. თუმცა ეს არ განიხილება კონსტიტუციური ინტერესების ხელყოფად. საქართველოში კი ამის რისკიც არ არსებობს, რადგან იმპიჩმენტის ქართული მექანიზმი არ ითვალისწინებს ამგვარ დროებით შეზღუდვას, მათ შორის, თვით საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან იმპიჩმენტის სამართლებრივი საფუძვლის დადგენის შემდეგაც კი და, უფლებამოსილების განხორციელების შეწყვეტა მხოლოდ იმპიჩმენტით თანამდებობიდან გადაყენების გადაწყვეტილებას უკავშირდება.

რაც შეხება „მსუსხავი ეფექტის“ კონცეპტს, მისი ამ კონტექსტში მოხმობა უადგილოა და ცოტა არ იყოს, ღიმილისმომგვრელიც: გამოდის, რომ იმპიჩმენტს დაქვემდებარებულ მაღალი თანამდებობის პირებზე, როგორცაა პრეზიდენტი, მინისტრი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, გენერალური პროკურორი, სახელმწიფო აუდიტი, მსუსხავ ეფექტს იქონიებს იმისი ცოდნა, რომ მათი მხრიდან კონსტიტუციის ნებისმიერ დარღვევას ან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენას შეიძლება მათი თანამდებობიდან გადაყენება მოჰყვეს. ასეთ დროს რაში

მდგომარეობს „მსუსხავი ეფექტის“ დამაზიანებელი მნიშვნელობა? ამ თანამდებობის პირებს სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას გაბედულება მოაკლდებათ, თვითნებური ქმედებების ხალისი წაერთმევათ და იმის შიშში იქნებიან, შემთხვევით კონსტიტუცია არ დავარღვიოთ ან დანაშაული არ ჩავიდინოთო? და ამ შიშის გამო თავიანთ „კონსტიტუციურ ფუნქციებს ეფექტიანად ვეღარ განხორციელებენ“? „მსუსხავი ეფექტი“ ის არის, რომ ისინი მეტი სიფრთხილით მოეკიდებიან თავიანთი უფლებამოსილების ფარგლების დაცვას? თუ ჰო, მაშინ გამართლებული ყოფილა ასეთი „პრევენციული სუსხი“.

„განსხვავებული აზრის“ პოზიცია № 13:

„საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევა მოხდა საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების გზით, 6 წლის ვადით. შესაბამისად, ამგვარი პირის თანამდებობიდან დაუსაბუთებლად გადაყენება წარმოადგენს ამომრჩეველთა ნების (არჩევანის) უარყოფას/უგულებელყოფას. სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნაა მაღალი ლეგიტიმაციით არჩეულ თანამდებობის პირთა საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფა“.

„საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნა ვერ იქნება მის (კონსტიტუციის) ნებისმიერ დარღვევას ავტომატურად ან პოლიტიკური ნების კარნახით მოჰყვეს ამა თუ იმ კონსტიტუციური ორგანოს/თანამდებობის პირის უფლებამოსილების შეწყვეტა“.

„საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ნებისმიერი ფაქტის იმპიჩმენტის თავისთავად საკმარის საფუძვლად განხილვა მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნიდა კონსტიტუციური ორგანოების ჯეროვან ფუნქციონირებას“.

ცხადია, რომ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის დაუსაბუთებლად გადაყენება ამომრჩეველთა ნების (არჩევანის) უარყოფას/უგულებელყოფას გულისხმობს. მეტიც, თანამდებობიდან დაუსაბუთებლად გადაყენება არასდროს არ უნდა მოხდეს, თუნდაც საქმე არ შეეხებოდეს ხალხის მიერ არჩეულ თანამდებობის პირს. ამასთან, ლოგიკას, რომ ვინაიდან მოქმედი პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევა საყოველთაო არჩევნებით მოხდა, ამიტომ მის მიერ თავისი საქმიანობის „შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფა“ „საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნაა,“ არასწორი მიმართულებით მივყავართ. „მაღალი ლეგიტიმაციით არჩეულმა თანამდებობის პირებმა რომ თავიანთი საქმიანობა შეუფერხებლად განახორციელონ,“ ეს ლეგიტიმური „კონსტიტუციური ინტერესი“ უფროა, ვიდრე „კონსტიტუციის მოთხოვნა“. თუმცა, ამგვარი ინტერესის არსებობის აღიარება ვერ მოახდენს იმპიჩმენტის დელეგიტიმაციას. ლეგიტიმური კონსტიტუციური ინტერესი ისიც არის, რომ ხელისუფლებისაგან ჩამოცილებული იქნენ ის თანამდებობის პირები, პრეზიდენტის ჩათვლით, ვინც თავის უფლებამოსილებას არაკეთილსინდისიერად ან არაკომპეტენტურად იყენებს. ასეთი კონსტიტუციური ინტერესი არსებობს და ამის გამოხატულებაა სწორედ კონსტიტუციის 48-ე მუხლი, რომელიც ყველაზე მაღალი თანამდებობის პირების თანამდებობიდან გადაყენებას ითვალისწინებს შესაბამისი დარღვევებისათვის.

საგულისხმოა, რომ იმპიჩმენტის მუხლი საქართველოს კონსტიტუციაში 1995 წლიდან არსებობს, როდესაც ჩვენმა კონსტიტუციამ საპრეზიდენტო მმართველობა შემოიღო. ეს მუხლი მაშინაც ითვალისწინებდა პრეზიდენტის იმპიჩმენტის შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, რომ მისი არჩევა საყოველთაო არჩევნებით ხდებოდა და ამასთან, მხოლოდ სახელმწიფოს მეთაური კი არ იყო, არამედ, იმავდროულად, აღმასრულებელი ხელისუფლებისაც. პრეზიდენტის ხალხის მიერ არჩევის ფაქტი და მაღალი ლეგიტიმაცია მის იმპიჩმენტს არალეგიტიმურად ვერ გადააქცევს. მაქსიმუმ, რასაც ამ დროს ამბობენ, ისაა, რომ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება იოლი არ უნდა იყოს. და არც არის. სწორედ ამიტომაც, რომ ჩვენი კონსტიტუციით მისი გადაყენების შესაძლებლობა გართულებულია გადაყენებისთვის საჭირო სხვებთან შედარებით უფრო მაღალი კვოტის (პარლამენტის სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობის) დაწესებით.

მტკიცება, რომ „კონსტიტუციის ნებისმიერი დარღვევა“ არ უნდა იყოს იმპიჩმენტის საკმარისი საფუძველი და ავტომატურად არ უნდა იწვევდეს პირის თანამდებობიდან გადაყენებას, ასევე ქარის წისქვილებთან ბრძოლას წააგავს. საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნა ნამდვილად არ არის, რომ მის ნებისმიერ დარღვევას ავტომატურად მოჰყვეს ამა თუ იმ კონსტიტუციური ორგანოს/თანამდებობის პირის უფლებამოსილების შეწყვეტა“. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, „კონსტიტუციის დარღვევა“ თანამდებობიდან გადაყენების აუცილებელი საფუძველია, მაგრამ საკმარისი არ არის და ეს საკმარისობა მაშინ იარსებებს, თუკი პარლამენტი მისი გადაყენების პოლიტიკურ მიზანშეწონილობასაც დაინახავს. ასე რომ, ამ საკითხზე „განსხვავებულ აზრში“ გამოთქმული კრიტიკა ღია კარის მტვრევას ემგვანება.

გარდა ამისა, ბუნდოვანია შინაარსი დებულებისა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნა ვერ იქნება, მის ნებისმიერ დარღვევას პოლიტიკური ნების კარნახით მოყვეს ამა თუ იმ კონსტიტუციური ორგანოს/თანამდებობის პირის უფლებამოსილების შეწყვეტა.“ თუ „პოლიტიკური ნების კარნახში“ კოლეგები პარლამენტის წევრების მიერ საკუთარი პოლიტიკური ნებითა და პოლიტიკური მიზანშეწონილობით საკითხის გადაწყვეტას გულისხმობენ, მაშინ ისევ ცდებიან და ისევ იმ მიზეზით, რომ გააზრებული არა აქვთ იმპიჩმენტის სამართლებრივი საფუძვლების დადასტურების შემდეგ პარლამენტში თანამდებობიდან გადაყენების საკითხის პოლიტიკური მიზანშეწონილობით გადაწყვეტის მართებულობა. ხოლო თუ იმას გულისხმობენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ იმპიჩმენტის საფუძვლების არსებობა „პოლიტიკური ნების კარნახით“ არ უნდა დაადგინოს, ამაში სავსებით დავეთანხმებით. მეტიც: არც იმპიჩმენტის საფუძვლების არსებობა და არც არარსებობა არ უნდა დაადგინოს სასამართლომ ვისიმე (ხელისუფლება იქნება ეს თუ სხვა სუბიექტი) „პოლიტიკური ნების კარნახით“ და რომ კონსტიტუციას თანაბრად ეწინააღმდეგება როგორც თანამდებობის პირის იმპიჩმენტის სამართლებრივი საფუძვლების დაუსაბუთებლად მიჩნევა დადგენილად, ისე მათი ვერदानახვა მაშინ, როდესაც ისინი ნამდვილად არსებობს.

„განსხვავებული აზრის“ პოზიცია № 14:

„ვთვლით, რომ შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების შესახებ დავის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხორციელებული რეაგირებით სრულყოფილად აღმოფხვრებოდა ის საფრთხეები, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტის ქმედებას შეეძლო გამოეწვია“.

გასაგები არ არის ამ დებულების დანიშნულება და საყვედურნარევი აზრი, რომელიც სტრიქონებს შორის იკითხება: რატომ მიმართა პარლამენტმა იმპიჩმენტის პროცედურას და არა სარჩელს კომპეტენციური დავის თაობაზე. მართალია, რომ ე. წ. კომპეტენციური დავის ფარგლებშიც შეიძლებოდა საკონსტიტუციო სასამართლოსგან იმაზე პასუხის მიღება, აქვს თუ არა პრეზიდენტს, გარკვეულ შემთხვევებში, მთავრობის თანხმობის გარეშე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების უფლება; რა შემთხვევებს მოიცავს „თანხმობის მიღების საჭიროება; პრეზიდენტის მიერ მთავრობის თანხმობის გარეშე განხორციელებული სამი ვიზიტი მისი უფლებამოსილების ფარგლებში თავსდება, თუ არაკონსტიტუციურ ქმედებას წარმოადგენდა და სხვა. მაგრამ, საქმე ისაა, რომ **საკონსტიტუციო სასამართლოს, და არც სხვა სუბიექტს, უფლება არა აქვს პარლამენტს უკარნახოს, თუ რომელ კონსტიტუციურ პროცედურას გამოიყენებს.** კომპეტენციური დავის წამოწყება რელევანტურია მაშინ, როდესაც გარკვეული საკითხები მართლაც სადავოა, ბუნდოვანია და პროცედურა ემსახურება უფლებამოსილების საკითხებში გარკვეულობის შეტანას, მაშინ, როდესაც, იმპიჩმენტის დროს, იმპიჩმენტის ინიციატორები მიზნად იმპიჩირებადი ქმედების ჩამდენი თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენებას ისახავენ და არა მხოლოდ კონსტიტუციურ ორგანოთა კომპეტენციებში გარკვეულობის შეტანას. ის გარემოება, რომ პარლამენტის წევრებმა იმპიჩმენტის პროცედურა წამოიწყეს, თავისთავად არ მოასწავებს რაიმე არალეგიტიმური ინტერესის არსებობას. რაც შეეხება „საფრთხეების აღმოფხვრას“: საქმე შეეხება დასრულებულ ფაქტებს შესაბამისი ზიანითა თუ შექმნილი საფრთხეებით. იმპიჩმენტი კი ფაქტებზე პოლიტიკური რეაგირების ფორმაა და მხოლოდ პრევენციულ მიზნებს არ ისახავს. გარდა ამისა, ჩადენილ დარღვევაზე ეფექტიანი რეაგირებაა სწორედ სამომავლოდ ამ დარღვევის ყველაზე კარგი პრევენცია, რადგან, როგორც ციცერონმა თქვა, „ყოველი დანაშაულის ცდუნება მისი დაუსჯელობის გათვლაში მდგომარეობს“.

„ განსხვავებული აზრის“ პოზიცია № 15:

„მივიჩნევთ, რომ პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება იწვევს პრეზიდენტის მიერ ხელისუფლების განხორციელების კონსტიტუციური ინტერესის იმაზე მეტად ხელყოფას, ვიდრე ამას წარდგინების ავტორების მიერ მითითებულ დარღვევასთან დაკავშირებით ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია.“

მოცემულ შემთხვევაში ის არის გაურკვეველი, რა ლეგიტიმური ინტერესების შეპირაპირებაზე საუბრობენ კოლეგები:

რას ნიშნავს „ვიდრე ამას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია?“ კერძოდ, კოლეგების აზრით, რას ითვალისწინებს კონსტიტუცია „წარდგინების ავტორების მიერ მითითებულ დარღვევასთან დაკავშირებით“?

თუ კოლეგები მასში იმას გულისხმობენ, რომ სინამდვილეში არაფერსაც არ ითვალისწინებს კონსტიტუცია „წარდგინების ავტორების მიერ მითითებულ დარღვევასთან დაკავშირებით“, მაშინ გამოდის, რომ აქ საერთოდ ეჭვქვეშ არის დაყენებული „წარდგინების ავტორების მიერ მითითებული დარღვევა“ რომ კონსტიტუციის დარღვევას წარმოადგენს, რადგან, გამოდის რომ სახეზე არ არის, სულ მცირე, ერთ-ერთი დასაცავი ინტერესი, რომელიც ინტერესთა დაბალანსების კონტექსტში ექვემდებარება შეფასებას.

თუ „წარდგინების ავტორების მიერ მითითებულ დარღვევაში“ ნაგულისხმევია კონსტიტუციის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევა საზოგადოდ, მაშინ, სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ კონსტიტუცია უშვებს „კონსტიტუციის დარღვევის“ გამო პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებისა და, შედეგად, მისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესაძლებლობას, რაც სწორი და კონსტიტუციურია. ამიტომ, გაუგებარი რჩება, რატომ იწვევს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება პრეზიდენტის მიერ ხელისუფლების განხორციელების კონსტიტუციური ინტერესის იმაზე მეტად ხელყოფას, რაც (კონსტიტუციის დარღვევის გამო) პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებით არის კონსტიტუციით ნებადართული. პრაქტიკულად, ეს იგივეა, ვამტკიცოთ, რომ „პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება იმაზე მეტად იწვევს განსაზღვრული კონსტიტუციური ინტერესის ხელყოფას, ვიდრე პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება“, რაც, ცხადია, აბსურდულია.

თუკი „წარდგინების ავტორების მიერ მითითებულ დარღვევაში“ ვიგულისხმებთ პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ სადავო ვიზიტებს იმის შეფასების გარეშე, წარმოადგენს თუ არა ეს ქმედებები კონსტიტუციის დარღვევას, მაშინ ამგვარი, სამართლებრივად შეუფასებელი მოცემულობის მიმართ კონსტიტუციის დამოკიდებულებაც ვერ იქნება გარკვეული; შესაბამისად, ლეგიტიმური იქნება, თუ ვიტყვით, რომ კონსტიტუცია მათ მიმართ არაფერს ითვალისწინებს და არც შეიძლება ითვალისწინებდეს.

ვგონებ, კოლეგებმა სწორად ვერ განსაზღვრეს შესაძარებელი ლეგიტიმური ინტერესები. ინტერესთა შეპირაპირება, იმპიჩმენტით გადაყენების დროს, სხვაგვარ მიმართებებს გულისხმობს. მაგალითად, სავსებით ლეგიტიმური იქნებოდა საკითხის ასე დაყენება, რომ პრეზიდენტის გადაყენებით შეიძლება მეტი ზიანი მიადგეს საზოგადოებას, ვიდრე გადაუყენებლობით. ასეთი აზრი შეიძლება არსებობდეს (ამიტომაც არის პრეზიდენტის იმპიჩმენტით გადაყენების პროცედურა საკმაოდ რთული და თითქმის მიუღწევადი). კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით, ასევე ლეგიტიმური იქნებოდა პრეზიდენტის დამცველების მხრიდან საკითხის ასე დაყენება, რომ, ჩადენილი დარღვევების მიუხედავად, პრეზიდენტ ს. ზურაბიშვილის გადაყენება, შესაბამის გარემოებებში, მეტ ზიანს მიაყენებდა გარკვეულ ინტერესებს, ვიდრე გადაუყენებლობა.

თუმცა, ამ საკითხში ჩემი კრიტიკა მხოლოდ იმას კი არ შეეხება, რამდენად სწორად განხორციელდა „განსხვავებულ აზრში“ იმ ინტერესთა განსაზღვრა, რომლებიც ერთმანეთთან მიმართებაში უნდა შეფასდეს, არამედ იმასაც, თუ ვის ევალება ეს.

კერძოდ: პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება და მის მიერ ხელისუფლების განხორციელების შეწყვეტა, ცხადია, თავისთავად, დადებითი მოვლენა არ არის. თუმცა, ისიც ცხადია, რომ გარკვეულ შემთხვევებში, თანამდებობიდან გადაყენებლობა შეიძლება კიდევ უფრო მეტი ზიანის მომტანი იყოს. როგორც ამერიკელი კონსტიტუციონალისტები განმარტავენ, „...*(იმპიჩმენტი) გამოგონილია როგორც წამალი, ქმედითი საშუალება იმისა, რომ არჩევნებს შორის პერიოდშიც უღირსნი გადაეყენებინათ თანამდებობიდან. ეს არის კონტროლისა და ბალანსის სისტემის ნაწილი... როდესაც სერიოზული დარღვევებია, პირდაპირი და დაუყოვნებლივი რეაქციის საშუალებები უნდა არსებობდეს*“ (The Committee on Federal legislation of the Bar Association of the City of New York, *The Law of Presidential Impeachment*; 1975. გვ. 20). იმპიჩმენტის დროს სწორედ ის არის მთავარი გადასაწყვეტი საკითხი, იმპიჩმენტს დაქვემდებარებული დარღვევის ჩამდენი თანამდებობის პირის გადაყენება უფრო მეტი ზიანის მომტანია თუ მისი ხელისუფლებაში შენარჩუნება ხელისუფლების ავტორიტეტის დაცვის, მისადმი ხალხის ნდობის უზრუნველყოფისა თუ სხვა ლეგიტიმური ინტერესების თვალსაზრისით. ამ საკითხის გადაწყვეტა კი, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, ჩვენი კონსტიტუციით პარლამენტს ეკუთვნის და არა საკონსტიტუციო სასამართლოს.

ამგვარად, ჩემი აზრით, „განსხვავებული აზრში“ გადმოცემული არგუმენტები მცდარია, წინააღმდეგობრივი, არათანმიმდევრული და მიზანსაცდენილი, იმავდროულად კი - იმპიჩმენტის იდეასთან და კონსტიტუციასთან შეუთავსებელი.



პროცესისშემდგომი რეფლექსიები

პრეზიდენტის იმპიჩმენტის საქმემ ვნებათაღელვასთან ერთად მნიშვნელოვანი გამოცდილებაც მოიტანა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს პარლამენტმა და საკონსტიტუციო სასამართლომ, პროცედურული თვალსაზრისით, სრულად განახორციელეს იმპიჩმენტის კონსტიტუციური უფლებამოსილება. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიქმნა იმპიჩმენტის პოლიტიკური და სამართლებრივი პრეცედენტი, განიმარტა კონსტიტუცია, საბოლოოდ გაიმიჯნა იმპიჩმენტის პოლიტიკური და სამართლებრივი მდგენელი, პოლიტიკური და სამართლებრივი საკითხები, პროცედურის პოლიტიკური და სამართლებრივი საფეხურები, განიმარტა იმპიჩმენტის ინსტიტუტის იდეა, მისი როლი და დანიშნულება პარლამენტისა და საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებათა ფარგლები, გამოითქვა უამრავი აზრი, დაიწერა სასამართლოს დასკვნა და „განსხვავებული აზრი“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთი ფურცელი მაინც შეემატა ქართული

კონსტიტუციონალიზმის ისტორიას, ან მეტი თუ არა, მცირედი ბიძგი მაინც მიეცა კონსტიტუციური სამართლის განვითარებას ამ სფეროში.

თუმცა, იმპიჩმენტის კონსტიტუციური პროცედურის განხორციელებისას ზოგიერთი მარცხის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა. კერძოდ, არ გამართლდა პროცესისადმი მეტი პასუხისმგებლობის მოლოდინი პრეზიდენტის მხრიდან. გაცილებით აჯობებდა, იგი გამოცხადებულიყო საკონსტიტუციო სასამართლოში, სადაც ის კანონის შესაბამისად მოიწვიეს; პასუხი გაეცა საკონსტიტუციო სასამართლოსა და პარლამენტის წევრთა შეკითხვებისათვის, რომლებზე პასუხიც ამ ორ კონსტიტუციურ ორგანოს თავიანთი კონსტიტუციური უფლებამოსილების განსახორციელებლად და გადაწყვეტილების მისაღებად ესაჭიროებოდა, პირველ მათგანს - იმის დასადგენად, დაარღვია თუ არა მან კონსტიტუცია, ხოლო მეორეს - იმის გადასაწყვეტად, მიეცა თუ არა ხმა მისი გადაყენების სასარგებლოდ. პრეზიდენტს ევალებოდა, გაეზიარებინა ამ ორი კონსტიტუციური ორგანოსთვის საჭირო ინფორმაცია თუ პირადი პოზიციები და ამ გზით ხელი შეეწყო კონსტიტუციური პროცედურის ჯეროვნად განხორციელებისათვის. ასევე, უკეთესი იქნებოდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით განაწყენებულს, შეურაცხმყოფლად კი არ მოეხსენიებინა სასამართლოს დასკვნა და მოსამართლეთა ბულინგი კი არ დაეწყო პარლამენტის ტრიბუნლიდან, არამედ იმ მოსაზრებებში გარკვეულიყო კარგად, რომლებზე დაყრდნობითაც იგი კონსტიტუციის დამრღვევად გამოცხადდა. საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც განასახიერებს ნეიტრალურ ხელისუფლებას (*le pouvoir neutre*), განსაკუთრებით მოეთხოვება სახელისუფლო ინსტიტუციების მიმართ მიუკერძოებლობა და თავშეკავებულობა, პატივდებული, არათუ მტრული, დამოკიდებულების ჩვენება.

ასეთი ქვევა გაცილებით ევროპული იქნებოდა, საითკენაც თავად მოგვიწოდებს ყველას. მაღალი პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებას ყველამ უნდა შევუწყოთ ხელი, განსაკუთრებით კი სწორედ ჩვენ - პრეზიდენტმა და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა - ვინც კონსტიტუციის დაცვის ვალდებულება ფიცის ქვეშ ვიკისრეთ.

●●●